

გულახდილად

A5



ლენარტ იუჰანსონმა G-14 გააკრიტიკა

A6



"ფორდის" მზე ესვენება

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 25 მარტი, 2006 წელი. №64 (1216)

ფასი 50 თეთრი

# ბელარუსში ტერორი განახლდა

## ქართველი ჟურნალისტები ლუკაშენკოს ტყვეობაში აღმოჩნდნენ

დიმიტრი ავალიანი

*საპროტესტო აქცია მინსკის ცენტრალურ მოედანზე ბელარუსმა ძალოვნებმა ღამით დაშალეს. აქციის, პრაქტიკულად, ყველა მონაწილე დაკავებულია. დაპატიმრებულნი არიან საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტი და ოპერატორიც, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს აშუქებდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა და დაკავებული ჟურნალისტების დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.*

"მთავარის" კორესპონდენტი ნინო გიორგობიანი და ოპერატორი გიორგი ლაღიძე ბელარუსის მილიციის თანამშრომლებმა მიმღებ-გამანაწილებლის წინ დააკავეს, სადაც აქციის დაპატიმრებული მონაწილეები მოჰყავდათ. გადამღები ჯგუფი იქ დაკავებულთა ნათესავების და ოჯახის წევრების ჩასაწერად მივიდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*მინსკში კვლავ რეპრესიები მძვინვარებს.*

# რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის საპროტესტო განცხადება

დღეს მინსკში დააკავეს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ნინო გიორგობიანი და ოპერატორი გიორგი ლაღიძე. ჩვენ ვართ მოწმენი, რა დიდი რისკის ფასად მოიპოვებდნენ და ავრცელებდნენ ეს ადამიანები ინფორმაციას დიქტატორ ლუკაშენკოს რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. ისინი იყვნენ ყველგან, სადაც უკანონოდ არბევდნენ და აპატიმრებდნენ მოქალაქეებს. ბელარუსის კაგებეს მიერ ჩვენი დაპატიმრების შემდეგ პირველი ნინო გიორგობიანი დაგვიკავშირდა. სწორედ მისგან გაიგეს საქართველოში ამ ფაქტის შესახებ, რაც ჩვენი გათავისუფლების საწინდარი გახდა.

კარგად ვიცით, როგორ ექცევიან ბელარუსის კაგებეში ქართველებს. ჩვენთვის ცხადია, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ნინო და გიორგი. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ის, რომ ასეთი ბნელი ადამიანების ტყვეობაში აღმოჩნდა ქალბატონი.

ჩვენ მოვითხოვთ ლუკაშენკოს რეჟიმისგან ქართველი ჟურნალისტებისა და სხვა დაკავებული თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანების დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას.

გვჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ნინოსა და გიორგის საქრთველოში უმოკლეს ვადაში დასაბრუნებლად.

მოვუწოდებთ მსოფლიო საზოგადოებასა და კეთილი ნების ყველა ადამიანს, ხმა აიმაღლოს დიქტატორ ლუკაშენკოს წინააღმდეგ.

**ლადო გოგიაშვილი**
რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი

**დეკანოზი ბასილ კობახიძე**
რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის ექსპერტი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი**
საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია
24.03.2006

# ოპოზიციის საჩივარი უცხოელ დიპლომატებს

## "მათ რეალურად ყველაფერი იციან"

სოფო ბუკია

*ქართველ ოპოზიციონერთა პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ გუშინ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მოისმინეს. მიღებულია მემორანდუმი, რომელსაც ხელს ოპოზიციის ლიდერები აწერენ, და რომელიც ყველა საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის სათავო ოფისს გაეგზავნება. სანდრო გირგვლიანისა და ვალერი გელაშვილის საქმეები, ასევე საარჩევნო საკითხი - ეს ის თემებია, რაზეც ოპოზიცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს. თუმცა, სახელისუფლებო გულისწყრომაში ოპოზიცია ერთიანი მაინც არ არის. გუშინ ხელმოწერილ მემორანდუმზე თავად ამ მემორანდუმის შექმნის ინიციატორის სალომე ზურაბიშვილის ავტოგრაფი არ არის.*

გაგრძელება A2 გვერდზე



ინტერპრესი

*ოპოზიციას თავისი "ჩივილები" საერთაშორისო ასპარეზზე გააქვს.*

## პოლიტიკა

### საბოლოო სიტყვა ბრიტანეთის მართლმსაჯულებაზეა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ბორის ბერეზოვსკის ექსტრადირების მოთხოვნით, დიდი ბრიტანეთის პარლამენტს მიმართოს, გუშინ ახალი წინადადებით გამოვიდა - ბერეზოვსკის მიმართ გამოიყენონ ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროკავშირის კონვენცია.

A3

## სამართალი

### მონიტორინგით აღმოჩენილი დარღვევები

სახალხო დამცველის აპარატი დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილების მონიტორინგს განაგრძობს.

A4

## მეცნიერება

### ცათამბჯენი მიწისძვრებს იწვევს

ჩენ-ჰუნი ვარაუდობს, რომ მიკრომიწისძვრების გახშირება შეიძლება ცათამბჯენის აშენებას გამოეწვია. მან გაიანგარიშა, რომ შენობა, რომელიც დაახლოებით 700 ათას ტონას იწონის, ფუნდამენტის ქვეშ 4,7 ბარის ტოლფას წნევას წარმოქმნის. ჰოდა, შესაძლოა, რომ ამ წნევის გარკვეული ნაწილი დედამიწის ქერქსაც აღწევდეს. მითუმეტეს, რომ ტაიპეი მეტად რბილ გრუნტზეა გაშენებული.

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 25/03 | 26/03 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 8 |
| ტყიბული | 14 | 11 |
| სოხუმი | 11 | 13 |
| დმანისი | 12 | 6 |
| გორი | 13 | 9 |
| ონი | 5 | 2 |
| ზუგდიდი | 17 | 13 |
| ახმეტა | 16 | 7 |
| გაგრა | 11 | 13 |
| სამტრედია | 17 | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
კვირა A 5
სპორტი A 6
მეცნიერება A 7
სხვადასხვა A 8

# საელჩოების "ქსელი" ფართოვდება

გიორგი ასანიშვილი

ქართული დიპლომატიის უახლოესი ისტორია სავსეა კურიოზებით. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა გუშინ რამდენიმე კომიკური ფაქტი გაიხსენა.

როდესაც ერთ-ერთი დიპლომატისთვის უხარებიათ, რომ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსი მიანიჭეს, მას უთქვამს: "სრულუფლებიანი რომ ვარ, კარგია, მაგრამ საგანგებო ცოტა საეჭვოდ ჟღერსო".

მეორე შემთხვევა კი ესპანეთში საქართველოს ყოფილ ელჩს გადახდა. მან ესპანეთის მეფეს რწმუნებათა სიგელები მას შემდეგ გადასცა, როდესაც ოფიციალურ თბილისს უკვე უკან ჰყავდა გაწვეული.

კოტე გაბაშვილი ირწმუნება, რომ ასეთი არასასიამოვნო თავგადასავლები წარსულს ჩაბარდა და საქართველოს დიპლომატიური უწყება დღეს სულ სხვა სიმაღლეზეა. ამ სამსახურის წინსვლის დადასტურებად პარლამენტარს ისიც მიაჩნია, რომ საელჩოების "ქსელი" დღითიდღე ფართოვდება. კერძოდ, თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოს სკანდინავიის ქვეყნებშიც ეყოლება. შერჩეულია კანდიდატურებიც - პრეზიდენტ სააკაშვილის წარდგინების საფუძველზე, პარლამენტი მომავალ სასესიო კვირაში ამირან კავაძეს შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაამტკიცებს, ხოლო დავით კერესელიძე დანიისა და ნორვეგიის სამეფოებში გაწევს ელჩობას.

პარლამენტში არ მალავენ, რომ სკანდინავიის ქვეყნებში საქართველოს დიდი ეკონომიკური ინტერესები აქვს.

**"ამირან კავაძემ, დიდ ბრიტანეთში ელჩობისას, კარგადააწყო ეკონომიკური ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით, შვედეთსა და ფინეთში მას უფრო ფართო ასპარეზი ექნება,"** - აღნიშნა გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს კოტე გაბაშვილმა. მისივე თქმით, არც დავით კერესელიძეს გაუჭირდება დანიასა და ნორვეგიაში მუშაობა, თუნდაც იმიტომ, ახალი საელჩოს გახსნის გამოცდილება უკვე აქვს - თავის დროზე, სწორედ კერესელიძემ გახსნა საქართველოს საელჩო საბერძნეთში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# განაჩენის მოლოდინში

## განსასჯელებმა რამიშვილმა და კოხრეიძემ სასამართლოს საბოლოო სიტყვით მიმართეს

*ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლებს შალვა რამიშვილსა და დავით კოხრეიძეს სასამართლო 29 მარტს გამოუტანს განაჩენს. თუმცა, თავად განსასჯელები, ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტენდენციიდან გამომდინარე, გუშინდელ სხდომაზევე წინასწარმეტყველებდნენ თავიანთ მომავალს.*

გუშინ საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესზე დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ბრალდებულმა ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლებმა - შალვა რამიშვილმა და დავით კოხრეიძემ განსასჯელთათვის განკუთვნილი პროცესუალური უფლება გამოიყენეს და სასამართლოს საბოლოო სიტყვით მიმართეს.

თავად შალვა რამიშვილმა სიტყვის წარმოთქმა ბოდიშის მოხდით დაიწყო და იმ პირების, პირველ რიგში "პროვოკატორი ბექაურის", დაკონკრეტების შემდეგ, ვისთვისაც ის ბოდიშის მოხდას არ აპირებს, ბოდიში თანაგანსასჯელ დავით კოხრეიძეს მოუხადა. **"ის ციხეში მხოლოდ ჩემი წინდაუხედაობის გამო მოხვდა"**, - განაცხადა რამიშვილმა, რომელმაც მიმდინარე პროცესს პოლიტიკური უწოდა და სხდომაზე მსხდომ სახელმწიფო ბრალმდებლებს მიმართა: **"რა ვაღიარო, ბატონო პროკურორებო? თქვენ ისე არაპროფესიულად შეკერეთ ეს საქმე, რომ აღმოჩნდა - მეც და მეტყვიამფრქვევე ბექაურიც ერთდროულად ვიმყოფებოდით საგურამოშიც და ვაკის ტერიტორიაზეც. როგორ ვაღიარო ასეთი საქმე? ასეთივე წარმატებით და ასევე დამაჯერებლად შემიძლია ვაღიარო ნებისმიერი, პროკურატურის ხელთ არსებული გაუხსნელი საქმე"**.

მის მიმართ "საქმის შეკერვის" მიზეზად კი შალვა რამიშვილი მისსავე პროფესიულ საქმიანობას, უფრო კონკრეტულად კი, "202"-ის ეთერით გასულ სხვადასხვა პროდუქციას მიიჩნევს: **"ტელეკომპანია "202"-ის ეთერით ხელისუფლების საწინააღმდეგო მულტფილმები და დებატები გადიოდა. რა თქმა უნდა, ამას რეაგირება მოჰყვებოდა"**.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "წინააღმდეგობის შტაბი" ბათუმში

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

ბათუმში, ლეიბორისტული და კონსერვატორული პარტიების ინიციატივით, "წინააღმდეგობის შტაბი" შეიქმნა. საამისოდ ორი დღის განმავლობაში ბათუმში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი გიორგი გუგავა იმყოფებოდა. წინააღმდეგობის შტაბის შექმნა 23 მარტს იგეგმებოდა, თუმცა იმის გამო, რომ იმ დღეს აჭარაში მოულოდნელად პრეზიდენტი ჩამოვიდა და ტელევიზიები ოპოზიციისთვის ვერ მოიცლიდნენ, შტაბის დაფუძნება ერთი დღით გადაიდო.

წინააღმდეგობის შტაბს აჭარაში კონსერვატორიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯუმბერ თავართქილაძე და ლეიბორისტული პარტიის წევრი დავით რობაქიძე ჩაუდგნენ სათავეში. გუგავას განცხადებით შტაბის მუშაობაში სხვა პარტიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას. სხვა პარტიათაგან ჯერჯერობით "ახალი მემარჯვენეები" და "თავისუფლება" დასახელდნენ, თუმცა დაფუძნებაზე მათი წარმომადგენლები არ მოსულან.

წინააღმდეგობის შტაბის ძირითადი ფუნქცია თბილისში აქციებზე ხალხის ჩაყვანის ორგანიზება და ადგილზე საპროტესტო აქციების მოწყობა იქნება.

შტაბს ამჟამად კონკრეტული სამუშაო აქვს ჩასატარებელი. 30 მარტს თბილისში დაგეგმილი საპროტესტო აქციისათვის მობილიზება უნდა ჩატარდეს და თბილისში რაც შეიძლება მეტი ხალხის ჩაყვანა მოხერხდეს. **"ეს იქნება ეროვნული წინააღმდეგობის აქცია, რომელიც არ იქნება ერთჯერადი და თუ ხელისუფლება არ აიღებს ხელს იმ უკანონო გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი დაუფიქრებლად იღებენ, თავიანთ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაამთავრებენ ან ემიგრაციაში, ან შევარდნაძეს მიუსხდებიან გვერდით,"** - განაცხადა გუგავამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დევნილთა უძრავი ქონების აღრიცხვა იწყება

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლის" განხორციელებას იწყებს, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის უძრავი ქონების აღრიცხვასა და მის საკუთრებაზე მოთხოვნის უფლებას ითვალისწინებს.

ამ პროგრამის განხორციელება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარის შოთა მალაშხიას ინიციატივით საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს საქართველოსთვის მიყენებული ზარალის დადგენას და მისი ანაზღაურების მოთხოვნით რუსეთისთვის საერთაშორისო სასამართლოში ჩივილს ითვალისწინებს.

გუშინ საპარლამენტო კომისიის სხდომაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გია ხევიაშვილმა განაცხადა, რომ ზემოხსენებული პროგრამის განხორციელება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების დასაწყისია.

პროგრამის მიხედვით, დევნილმა უნდა მიუთითოს თავისი ყოფილი საცხოვრებელი სახლის ზუსტი მისამართი, განათლება, პროფესია და სამუშაო ადგილი დევნილობამდე. ასევე, დევნილმა საცხოვრებელი სახლის ან ბინის ადგილმდებარეობის რუკაზე ზუსტად დადგენის მიზნით, უნდა აღწეროს ქონებრივი მდგომარეობა და მიუთითოს, არის თუ არა მისთვის ცნობილი, ვინ არის მის სახლში შეჭრილი ან რა ობიექტია აშენებული მის კუთვნილ ტერიტორიაზე.

ზემოთ ხსენებული დეკლარაციის შევსება დევნილებს შეეძლებათ როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, ასევე სამინისტროს რეგიონულ სამსახურებში. საზღვარგარეთ მყოფმა დევნილებმა კი დეკლარაცია საელჩოში ან საკონსულოში უნდა შეავსონ.

ხევიაშვილის თქმით, ზემოხსენებული ინფორმაცია იმ იურიდიულ კომპანიებს გადაეცემა, რომელიც საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ინტერესებს დაიცავს.

*მედიანიუსი*

# ლიტვის სამუშაო ჯგუფის საქართველოში ვიზიტი დასრულდა

ლიტვის რესპუბლიკის საგარეო და თავდაცვის სამინისტროების და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული, ლიტვის სამუშაო ჯგუფის საქართველოში ვიზიტი დასრულდა.

ვიზიტის მიზანს, ნატო-ში ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით, ლიტველი კოლეგების გამოცდილების გაზიარება, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში რეკომენდაციების გაწევა წარმოადგენდა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ლიტველმა ექსპერტებმა შეხვედრები გამართეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, პარლამენტის, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების თანამშრომლებთან. შეხვდნენ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს.

*ინტერპრესნიუსი*

# გოგა ხაინდრავა ნატო-ში ევროპის ქვეყნების ელჩებს შეხვდა

აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს გუშინ, სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავამ და საქართველოში ვიზიტით მყოფმა, ნატო-ში ევროპის ქვეყნების ელჩებმა. დელეგაციაში შესულნი არიან დანიის, ჰოლანდიისა და უნგრეთის ელჩები ნატო-ში, ასევე ევროკავშირის, ევროკომისიისა და "მარშალის" ცენტრის წარმომადგენლები.

როგორც შეხვედრის შემდეგ გოგა ხაინდრავამ განაცხადა, მან სტუმრებს გააცნო სამშვიდობო პროცესის ხელისშემშლელი მიზეზები. მისივე თქმით, განიხილეს ამ მიზეზების დაძლევის გზები. "ძირითადი შემაფერხებელი გარემოება სამშვიდობო პორცესში არის რუსეთის პოლიტიკური ნების არარსებობა," - განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ამ დროისთვის დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ხვდება.

*ინტერპრესნიუსი*

# სალომე ზურაბიშვილი: ედუარდ შევარდნაძის გასამართლების საკითხი "საოცარი და სასაცილოა"

პოლიტიკური პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გასამართლების საკითხის წამოწევას "საოცარსა და სასაცილოს" უწოდებს. სალომე ზურაბიშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ მისთვის შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის სატელეფონო საუბარში გასაკვირი არაფერი იყო, რადგან ეს ექსპრეზიდენტის "ბინძური თამაშის" ნაწილია.

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ სასამართლო უნდა შედგეს, მაგრამ არა მარტო შევარდნაძის, არამედ უნდა მოხდეს "სისტემური გასამართლება", რადგან "ნეოშევარდნაძისტები" ნაკლებად დამნაშავეები არ არიან.

პრესკონფერენციაზე სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტია არც ერთ ოპოზიციურ პარტიასთან გაერთიანებას არ აპირებს. თუმცა არ გამორიცხავს რაიმე კონკრეტულ საკითხზე დროებით გაერთიანებას.

"არ შეიძლება, პარტია, რომელიც მოღვაწეობას იწყებს, ვინმესთან გაერთიანდეს," - მიიჩნევს ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილი ხელისუფლებას ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით, ორმაგ თამაშში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება ხან რუსეთის პოზიციას იკავებს, ხან კი - ამერიკის, რაც ხელისუფლების პოზიციას ამასთან დაკავშირებით ბუნდოვანს ხდის.

ზურაბიშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ მიუღებელია, როდესაც ხელისუფლება შსს-ში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას არც კი გეგმავს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ზურაბიშვილმა გაახმაურა, უცხო ენების ინსტიტუტში მის მიერ ჩატარებული ლექცია იყო. "საქართველოს გზის" ინფორმაციით, ლექციის შემდეგ სტუდენტები უშიშროებაში დაიბარეს და დაკითხეს.

სალომე ზურაბიშვილი, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, პრესკონფერენციების გამართვას ორ კვირაში ერთხელ გეგმავს.

*ინტერპრესნიუსი*

# ოპოზიციის საჩივარი უცხოელ დიპლომატებს

პირველი გვერდიდან

**"საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას მივაპყრობთ იმ უაღრესად შემაშფოთებელ ვითარებაზე, რაც ქვეყანაში უკანასკნელი თვეების მანძილზე შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მრავალი ფაქტი, რაც აისახა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობაში, დაკავებულთა წამებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა რეპრესიებში, მასმედიის საშუალებებისა და ჟურნალისტების შევიწროებაში, მოქალაქეთა კერძო საკუთრებით უფლებათა ხელყოფაში და მეწარმეობის განვითარებისათვის შემაფერხებელი პირობების შექმნაში,"** - აღნიშნულია მემორანდუმში, რომელსაც გუშინ ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში ყველა ქვეყნის საელჩოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის სუბიექტებს გაეგზავნება.

მემორანდუმი ოპოზიციამ გუშინვე გააცნო საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა "რესპუბლიკური პარტიის" ოფისში მიმდინარეობდა. როგორც "24 საათთან" საუბარში "რესპუბლიკელების" ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა აღნიშნა, ელჩებისა და ოპოზიციის შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი სანდრო გირგვლიანის მკვლელობასა და ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტზე გაკეთდა. საუბარი შეეხო მეწარმეთა კუთვნილი წილების უკანონოდ გაფორმებისა და მისაკუთრების, გაუმჭვირვალე პრივატიზაციის საკითხებს. მთავარ სასაუბრო თემად იქცა, აგრეთვე, საარჩევნო კანონი, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი და თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული პრობლემები. როგორც თინა ხიდაშელი აღნიშნავს, საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები საკმაოდ აქტიურად ადევნებენ თვალს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას. **"მათ რეალურად ყველაფერი იციან, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ამდენად, ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო არა ის, რომ კიდევ ერთხელ გავაგებინოთ მათ ის, რაც უკვე იციან, არამედ ჩვენ წარმოვადგინეთ ამ პრობლემების მოგვარების ჩვენეული ხედვა,"** - აცხადებს ხიდაშელი. მისი აზრით, მსგავსი ტიპის შეხვედრების მთავარი შედეგი ის იქნება, რომ **"უცხოელ დიპლომატებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის არსებული მუდმივი კონსულტაციები კიდევ უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს და ამ კონსულტაციებში კიდევ უფრო მეტი კონკრეტიკა გაჩნდება."**

გარდა მემორანდუმისა, ოპოზიციამ გუშინ ელჩებს კიდევ რამდენიმე დოკუმენტი გადასცა, სადაც **"კონკრეტული პრობლემები დეტალებშია აღწერილი და ფაქტებითაა გამაგრებული ოპოზიციის ყველა წუხილი."**

ოპოზიციისა და ელჩების შეხვედრაზე, რომელსაც სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ, არ მისულა "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. როგორც "24 საათთან" საუბარში თინა ხიდაშელმა აღნიშნა, მემორანდუმის შემუშავება სწორედ სალომე ზურაბიშვილის იდეა იყო.

**"პირადად მე ძალიან გამაკვირვა ქალბატონი სალომეს რეაქციამ. რა თქმა უნდა, მას აქვს უფლება განაცხადოს, რაც სურს, ოღონდ ეს განცხადებები, შესაძლოა, შემდეგ მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. იმედი მაქვს, რომ ქალბატონი სალომე ჯერ კიდევ იდენტიფიკაციის პროცესშია და როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდება, სხვა რეჟიმში იმუშავებს ოპოზიციასთან,"** - ასე შეაფასა თინა ხიდაშელმა სალომე ზურაბიშვილის გუშინდელი განცხადება.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მისი პარტია არც ერთ ოპოზიციურ პარტიასთან გაერთიანებას არ აპირებს, თუმცა რაიმე კონკრეტულ საკითხზე დროებით გაერთიანებას არ გამორიცხავს.

**"არ შეიძლება, პარტია, რომელიც მოღვაწეობას იწყებს, ვინმესთან გაერთიანდეს,"** - მიიჩნევს ზურაბიშვილი.

თუმცა, თინა ხიდაშელი ამტკიცებს, რომ ექსმინისტრის მსგავსი რეაქცია ოპოზიციისთვის "ნამდვილად სიურპრიზი" იყო. **"ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის პარტიის წარმომადგენელი გია თორთლაძე ოპოზიციის ყველა შეკრებას ესწრებოდა და მსგავსი პოზიცია მისგან არავის გაუგია,"** - აცხადებს ხიდაშელი, რომელიც ზურაბიშვილისგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ ერთიანი ძალით ოპოზიციას უფრო მეტის მიღწევა შეუძლია.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ გუშინდელი პრეცედენტი სერიოზული ნაბიჯია ოპოზიციის ისტორიაში. **"ოპოზიციურმა პარტიებმა შეძლეს ერთ საერთო დოკუმენტზე შეთანხმება, და ეს უკვე პირველი დიდი წარმატებაა,"** - აცხადებს იგი.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა კომენტარები "დიპლომატიური" იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ საქართველომ დემოკრატიის განვითარების საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა არის გარკვეული პრობლემები, რომლებიც "იმედია, მალე მოგვარდება".

მსგავსი შეხვედრების გამართვას ოპოზიციონერები მომავალშიც გააგრძელებენ. შემდეგი შეხვედრა ორშაბათსაა დაგეგმილი. ამჯერად ოპოზიციონერთა მასპინძელი ქვეყნის მთავარი "ლეიბორისტი" შალვა ნათელაშვილი იქნება.

# "წინააღმდეგობის შტაბი" ბათუმში

პირველი გვერდიდან

შტაბის ხელმძღვანელებმა მოსახლეობას მოუწოდეს, 30 მარტისათვის გამოიჩინონ პატრიოტული სულისკვეთება და მონაწილეობა მიიღონ თბილისში დაგეგმილ აქციაში. პარალელურად, აქცია უნდა გაიმართოს ბათუმშიც. **"აქციები გაგრძელდება მანამდე, სანამ ამ ყველაფერს სააკაშვილ-ვარშალომიძის ხელისუფლების დამხობა არ მოჰყვება,"** - აცხადებენ ისინი.

წინააღმდეგობის შტაბის დამფუძნებელთა განცხადებით, ანალოგიური შტაბები საქართველოს ყველა რეგიონში გაიხსნება.



*წინააღმდეგობის მოძრაობას ლეიბორისტები ბათუმიდან იწყებენ.*

# ჯული ფინლიმ საქართველოში დემოკრატიული პროცესები შეაფასა

"საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ ადგას დემოკრატიული განვითარების გზას, მაგრამ არსებობს გარკვეული ვითარება, რაც შეშფოთებას იწვევს," - განაცხადა ეუთოში შეერთებული შტატების ელჩმა ჯული ფინლიმ.

ფინლიმ ასეთი დასკვნა მას შემდეგ გააკეთა, რაც ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ეუთოს მისიის ხელმძღვანელის როი რივის მოხსენება მოისმინა.

"მოხსენებიდან ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ ადგას დემოკრატიული განვითარების გზას, მაგრამ ასევე აღვნიშნავთ ელჩის მოხსენებას ადამიანის უფლებებზე, მედიის თავისუფლებაზე, სასამართლო დამოუკიდებლობაზე და პენიტენციალურ მდგომარეობაზე საქართველოში, რომელიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს," - განაცხადა ფინლიმ.

"ვაშინგტონს მიაჩნია, რომ კრიტიკაზე რეაგირების სისტემური მიდგომა საქართველოს დასახული მიზნების მიღწევაში დაეხმარება," - განაცხადა ეუთოში ამერიკის ელჩმა.

თავის გამოსვლაში ჯული ფინლიმ დაგმო თვითგამოცხადებული პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ინიციატივა, რომლის თანახმად, მან სამხრეთ ოსეთის რუსეთის ნაწილად აღიარების მიზნით, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით მიმართა.

"ჩვენ ვგმობთ სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის 22 მარტის განცხადებას, რომელიც სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას შეეხება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და ორივე კონფლიქტის - სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის - მშვიდობიანი დარეგულირება სწორედ ამ პრინციპებს ეფუძნება," - განაცხადა ელჩმა.

*ინტერპრესნიუსი*

# რუსეთის ბრალდებები ეუთოს სხდომაზე

ვენაში ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე ეუთოში რუსეთის წარმომადგენელმა ალექსეი ბოროდავკინმა განაცხადა, რომ "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარების პროცესს ქართული მხარე აფერხებს. "ბოლო თვეებში თბილისი მიზანმიმართულად ხელს უწყობდა სამხრეთ ოსეთის ირგვლივ სიტუაციის გართულებას," - აღნიშნა ბოროდავკინმა. მან ეს განცხადება საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელის როი რივის მიერ წარდგენილი მოხსენების საპასუხოდ გააკეთა.

"საქართველოში ეუთოს მისიის მხრიდან თბილისის ცალმხრივი ნაბიჯების დადებითად შეფასება ჩვენს სერიოზულ ეჭვებს იწვევს... საუბარი, კერძოდ, ეხება ქართული ბატალიონის როტაციის ვადების შემცირებასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განზრახვას, კონფლიქტის ზონაში იმ სამხედრო მოსამსახურეების შეყვანასთან დაკავშირებით, რომელთაც სამშვიდობო ოპერაციასთან შეხება არ აქვთ. საქართველოს ეს ქმედებები, მოწონებას კი არა, დამატებით განგაშს უნდა იწვევდეს," - ამბობს ალექსეი ბოროდავკინი.

მან, ასევე, უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ როი რივმა თავის მოხსენებაში გვერდი აუარა რუს სამშვიდობოებზე საქართველოს პარლამენტის 15 თებერვლის დადგენილების თემას და იანვარ-თებერვალში "რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციებს."

ბოროდავკინმა გააკრიტიკა საქართველოში ეუთოს მისიის ის ანგარიშები, რომლებიც რეგულარულად იგზავნება ვენაში. "მათში ასახულია ცხინვალის მიერ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების შეუსრულებლობა, მაგრამ მიჩუმათებულია ან არ არის დარღვევად კვალიფიცირებული თბილისის არასამართლებრივი ქმედებები," - აცხადებს ალექსეი ბოროდავკინი.

იგი იმედოვნებს, რომ "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარების გზაზე ნაყოფიერი იქნება ვალადიკავკაზში 27-28 მარტს დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილება კონფლიქტის მოგვარების ერთობლივი პროგრამის შემუშავების, ასევე, ეუთოს ინიციატივა უსაფრთხოების გარანტიებისა და საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ.

*მედიანიუსი*

# SSOP-ის პროგრამის ეტაპი დასრულდა

"სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" (SSOP) მორიგი ეტაპი დასრულდა. ქართულ-ამერიკული პროგრამით, ამჯერად 600-მდე სამხედრო მოსამსახურე მომზადდა. პირველი და მეორე ქვეითი ბრიგადების ლოგისტიკური უზრუნველყოფის ბატალიონებმა წვრთნის ოთხკვირიანი კურსი გაიარეს. პირადმა შემადგენლობამ ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ტაქტიკური, საცეცხლე, ტოპოგრაფიული და სამხედრო უნარ-ჩვევები შეისწავლა. სწავლებაში მონაწილე სამხედროებს "კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში" წვრთნების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი სპეციალური სერტიფიკატები გადასცეს. საზეიმო ღონისძიებას აღნიშნული ბრიგადის მეთაურები, საქართველოში აკრედიტებული ქვეყნების სამხედრო ატაშეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალი რანგის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამით" 27 მარტიდან ამავე ბატალიონების შტაბების მმართველობების წვრთნის პროცესი დაიწყება.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### ყოფილი დივარიუმის შენობაში დევნილები შეიჭრნენ

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი დივარიუმის შენობაში, გუშინ, დევნილები შეჭრას შეეცადნენ. ამ ფაქტმა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების გაღიზიანება გამოიწვია, რის გამოც მათ საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თემურ ნანეიშვილმა "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, დივარიუმის შენობა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს ეკუთვნოდა, თუმცა, ცოტა ხნის წინ იგი განათლების სამინისტროს გადაეცა. მისივე თქმით, შენობის მფლობელი განათლების სამინისტროა და მათ არა აქვთ უფლება საცხოვრებლად ლტოლვილებს გადასცენ.

თემურ ნანეიშვილის განცხადებით, მან დევნილებს შესთავაზა, განათლების სამინისტროდან შენობაში შესახლების წერილობითი თანხმობა მიეტანათ, რის შემდეგაც ლტოლვილები შენობაში დაუბრკოლებლად შესვლას შეძლებდნენ. თუმცა, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მტკიცებით, დივარიუმის შენობის საცხოვრებლად გამოყენება დაუშვებელია, რადგან, კვლევით ლაბორატორიაში შესაძლოა სხვადასხვა ვირუსების კერა იყოს დარჩენილი. ნანეიშვილის თქმით, შენობა განადგურებულია და დევნილები მის აღდგენას ვერ შეძლებენ.

აქცია გოთუას ქუჩაზე კვლავ გრძელდება. დევნილებმა შენობა უკვე დატოვეს. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია. გამოძახებულნი არიან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებიც, რომლებიც პრობლემაში ადგილზე გაერკვევიან. **ინტერპრესნიუსი**

### ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და ამერიკის უნივერსიტეტი პარტნიორობის თაობაზე ხელშეკრულებას გააფორმებენ

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და ამერიკის უნივერსიტეტი (University of America) პარტნიორობის თაობაზე ოფიციალური ხელშეკრულებას გააფორმებენ.

ხელშეკრულება ამერიკის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დანერგვასა და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს. საზეიმო ღონისძიება დღეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ახალ შენობაში გაიმართება. უნივერსიტეტი თანამედროვე კომპიუტერული და დისტანციური სწავლების ტექნიკითაა აღჭურვილი.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქართულ-ამერიკიული უნივერსიტეტის პრეზიდენტი მაიკლ ქაუგილი, სამართლის სკოლის დეკანი ქენეტ ქათშოუ, ამერიკის უნივერსიტეტის ვაშინგტონის იურიდიული სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების დირექტორი დევიდ ჩავკინი, ქართულ-ამერიკიული უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ელენე ჯამარჯაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი 2005 წელს დაარსდა. იგი ბიზნესისა და სამართლის სკოლებს აერთიანებს. **ინტერპრესნიუსი**

### სტუდენტებმა ბელარუს ახალგაზრდებს სოლიდარობა გამოუცხადეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გუშინ, ბელორუს ახალგაზრდებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების გამო ბელარუსმა სტუდენტებმა პროტესტი გამოხატეს. გუშინ, დილიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან საქართველოში აკრედიტებული საელჩოების მიმართულებით სტუდენტების მსვლელობა დაიწყო. ქართველი სტუდენტები საელჩოებს პეტიციას გადასცემენ, რომლითაც ბელარუსში დემოკრატიის მხარდაჭერას მოითხოვენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ბელარუსში ტერორი განახლდა

პირველი გვერდიდან

მილიციის განყოფილებასთან ელოდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებსაც.

ქართველი ჟურნალისტების ინფორმაციით, ბელარუსმა სამართალდამცველებმა ნათესავებს დაკავებულებისთვის ამანათების გადაცემა აუკრძალეს. ქართველი ჟურნალისტის თქმით, დაკავებულები საშინელ პირობებში, სიცივეში იმყოფებოდნენ და მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

დაკავებულები მინსკის შინაგან საქმეთა სამმართველოს მოსკოვის რაიონის განყოფილებაში გადაიყვანეს. ნინო გიორგობიანი და გიორგი ლაღიძე სხვადასხვა საკანში მოათავსეს.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკიდურესი აღშფოთება გამოთქვა ქალაქ მინსკში "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის" ჟურნალისტების ნინო გიორგობიანისა და გიორგი ლაღიძის დაკავების გამო. როგორც საგარეო უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობების შესრულებისას ყველა საჭირო დოკუმენტი ჰქონდათ. **"ქართული მასმედიის წარმომადგენლების ყოველგვარი ბრალდებისა და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე დაკავების ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბელარუსის ხელისუფლებამ საბოლოოდ თქვა უარი დემოკრატიულ განვითარებასა და ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვაზე,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნული ინციდენტის დროულად ამოწურვას და ქართველი ჟურნალისტების უპირობოდ გათავისუფლებას კატეგორიულად მოითხოვს.

საქართველოს მოქალაქეებისთვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ ბელარუსში კვლავ მიავლინა უკრაინაში საქართველოს საელჩოს კონსული ზურაბ ჯაჭვაძე.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საგანგებო განცხადება მიიღო, რომელსაც საქართველოში აკრედიტებულ ელჩებსა და ბელარუსის პარლამენტს გადაუგზავნის.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის თქმით, ნინო გიორგობიანსა და გიორგი ლაღიძეს ყველანაირი დოკუმენტაცია წესრიგში აქვთ, მათ გააჩნიათ სპეციალური აკრედიტაცია, რომლითაც მინსკში რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდნენ.

**"ბელარუსის ხელისუფლების მიზანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ზეწოლა და ინფორმაციის დაბლოკვაა, რათა მსოფლიომ არ გაიგოს ბელარუსის ხელისუფლების იმ სასტიკი ქმედების შედეგი, რასაც ადგილი ჰქონდა ოპოზიციის მიტინგის დარბევისას,"** - აღნიშნა კოტე გაბაშვილმა კომიტეტის სხდომაზე. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ნინო გიორგობიანისა და გიორგი ლაღიძის გათავისუფლებას მოითხოვს.

რადიო "თავისუფლების" ბელარუსული რედაქციის ინფორმაციით, 23 მარტის ღამეს კარვების ქალაქს, სადაც აქციის მონაწილეები იმყოფებოდნენ, სამართალდამცავებმა ალყა შემოარტყეს და თითქმის ყველა მათგანი, ოთხას კაცამდე, დააკავეს. კარვების ქალაქის განადგურების ოპერაცია 20 წუთს გაგრძელდა. დაკავებულთა გადასაყვანად ოცამდე საბადრაგო მანქანა და ავტობუსი გამოიყენეს.

აქციის ორგანიზატორებმა მონაწილეებს მოუწოდეს, წინააღმდეგობა არ გაეწიათ და მილიციას დანებებოდნენ. ასეც მოხდა - აქციის მონაწილეები მანქანებსა და ავტობუსებში თავად ჩასხდნენ. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, უკვე მანქანებში ზოგიერთ მათგანს სამართალდამცავებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

დაკავებულები ერთ მიმღებ-გამანაწილებელში გადაიყვანეს. ისინი ყინვაში რამდენიმე საათი გააჩერეს. ერთ-ერთი დაკავებულის ინფორმაციით, მილიციელებმა აქციის მონაწილეები ბეტონის კედელთან დააყენეს, ჩაინიშნეს ყველა დაკავებულის ვინაობა, ცალკე გადაარჩიეს არასრულწლოვნები და ახალგაზრდა გოგონები და ისინი სადღაც გადაიყვანეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვნები უშუალოდ მილიციის განყოფილებიდან გაათავისუფლეს.

დაკავებულთა შორის პოლონეთის სამი მოქალაქე აღმოჩნდა, მათ შორის, პოლონეთის ყოფილი ელჩი ბელარუსში მარიუშ მაშკევიჩი. მათი ბედის გასარკვევად პოლიციის განყოფილებასთან ამ ქვეყნის კონსულები მივიდნენ. დაკავებულთა შორის არიან გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატის ალექსანდრ მილინკევიჩის 20 წლის ვაჟი იგორი და მეორე კანდიდატის, ალექსანდრ კოზულინის ორი ძმისშვილი.

მოგვიანებით, დაკავებულთა მინსკის სხვადასხვა სასამართლოებში გადაყვანა დაიწყეს, მათთვის სასჯელის შეფარდების მიზნით.

განყოფილებასთან პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი ალექსანდრ მილინკევიჩიც მივიდა. **"ხელისუფლებამ კვლავ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. მას საუბარი მხოლოდ ძალის პოზიციიდან შეუძლია. მას არ შეუძლია საზოგადოებასთან დიალოგი. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ აქცია დემოკრატიის გამოვლინებაა და მის დარბევას არ აპირებდნენ. ეს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია იყო, და ამას მასში მონაწილე ყველა ადამიანი ადასტურებდა,"** - განაცხადა მილინკევიჩმა.

**"როგორც ჩანს, ლუკაშენკოს ნერვებმა უმტყუნა. მისი განცხადებების მიუხედავად, თითქოს ამ სიტუაციას ბოლომდე მოითმენდა, სანამ ხალხი თავად არ დაიშლებოდა, მან ეს ვერ შეძლო. მას 25 მარტის ეშინია,"** - განაცხადა, თავის მხრივ, პრეზიდენტობის კანდიდატმა ალექსანდრ კოზულინმა. დღეისთვის ბელარუსის ოპოზიციური ძალების მიერ დაგეგმილია მასობრივი საპროტესტო გამოსვლის ჩატარება.

ბელარუსში მომხდარ მოვლენებს გუშინ ევროკავშირი გამოეხმაურა. ევროკავშირის სამიტის მონაწილეებმა დაკავებული აქტივისტების გათავისუფლება მოითხოვეს. ევროპის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, ბელარუსის რეჟიმის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები გაამკაცრონ.

რუსეთის ხელისუფლებამ კი, ტრადიციულად, ლუკაშენკოს რეჟიმს სრული სოლიდარობა გამოუცხადა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ბელარუსის ხელისუფლება **"კანონის თანახმად მოქმედებდა"**, და მოვლენების "წაქეზებაში" ეუთო დაადანაშაულა იმის გამო, თითქოს ამ ორგანიზაციამ ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები "წინასწარ არალეგიტიმურად გამოაცხადა". მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთს ბელარუსში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ პრეტენზიები არ აქვს, ხოლო **"მიტინგებით რაიმეს შეცვლა შეუძლებელია."**

# უცნობი თავისუფლება

## გადაცემის სტუმარია ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" წევრი მამუკა კაციტაძე

**ალექსანდრე ელისაშვილი:** საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა დაიწყო ვალერი გელაშვილის საქმის შესწავლა. ქალაქის მერმა პირდაპირ განაცხადა, რომ დამწვარი სკოლის უკან ვალერი გელაშვილი დგას. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?

**მამუკა კაციტაძე:** პირადად მე ამ ქმედებას არაერთხელ მივეცი ცალსახა შეფასება. ხელისუფლება ცდილობს ეს სამართლებრივ ლაფსუსად წარმოაჩინოს - ვალერი გელაშვილის ბიზნესსაქმიანობისა და დეპუტატის სტატუსის ურთიერთშეუთავსებლობა. ამიტომ, დაევალა საპროცედურო საკითხთა კომიტეტს პრობლემის შესწავლა. სინამდვილეში პრობლემა სულ სხვა ხასიათისაა და ის წმინდა პოლიტიკურია... ხელისუფლების რეიტინგის მუდმივი ვარდნის ფონზე საჭიროდ მიაჩნიათ ყველაფრის განდევნა. იდევნება ბიზნესი, მედია, საზოგადოება და განდევნილი უნდა იყოს ოპოზიციაც. ეს არის აშკარა დაპირისპირება ხელისუფლების მხრიდან. თურმე, სკოლის დაწვის მერე გახდა ვალერი გელაშვილი "ბანდიტი", როგორც ეს ბიძინა ბრეგაძემ ბრძანა... თურმე, დღეს გაჩნდა საზოგადოებაში ეჭვები გელაშვილის საქმიანობის შეუთავსებლობასთან დაკავშირებით... შარშან ზაფხულს ვალერი გელაშვილი პრინციპში, ხელისუფლებამ მოკლა... რომ არა მისი ფიზიკური გამძლეობა, იგი სასიკვდილოდ იყო გამეტებული. რატომღაც, არ მახსოვს ხელისუფლების აღტკინება საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. ვნახოთ, რა ვერდიქტს გამოუტანს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები "თავისუფლების ინსტიტუტის" დავალებას ასრულებს. როდესაც, პრეზიდენტი გელაშვილს "ორთაჭალის ტურფების" მიწებს განაშენიანებისთვის აძლევდა, ეს იყო თუ არა ლობირება გელაშვილის მიერ საკუთარი ბიზნესისა?

**ა.ე.:** თუ გამოძიებამ დაადასტურა, რომ სკოლა არა საგანგებოდ, არამედ, მოკლე ჩართვის შედეგად დაიწვა, საინტერესოა რას იტყვის ქალაქის მერი გიგი უგულავა...

**მ.კ.:** არ მაქვს იმის იმედი, რომ გაწითლდება.

**ა.ე.:** გაწითლებას არც ველით, მაგრამ რაღაც კითხვებზე პასუხები უნდა გასცეს...

**მსმენელი:** ბატონო მამუკა, იქნებ გაახმაუროთ პარლამენტში - ხელისუფლებამ რატომ არ მოუმატა პირველი ჯგუფის ინვალიდებს პენსია 5 ლარით. დადეგით ყველა ერთად და იქნებ, "სიმსივნე" ერთხელ და საბოლოოდ თავიდან მოვიშოროთ...

**მ.კ.:** პირდაპირ ვიტყვი, რომ მსმენელი "სიმსივნეში" ხელისუფლებას გულისხმობდა. ჩვენ ოპოზიციური ორგანიზაციები ვცდილობთ, რომ ერთად დავდგეთ და თქვენც, საზოგადოების წარმომადგენლებიც ერთად უნდა დადგეთ... ერთიანი ძალით დავამთავროთ რევოლუცია ამ ქვეყანაში.

**ა.ე.:** ბატონო მამუკა, იქნებ გვითხრათ, რა მოხდება 30 მარტს და ჩართული ხართ თუ არა საორგანიზაციო საკითხებში?

**მ.კ.:** მოგეხსენებათ, რომ 30 მარტს პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქცია დაიგეგმა. წინა აქციებისგან განსხვავებით, ამ აქციას არ აქვს ერთი კონკრეტული თემა. ეს არის პოლიტიკური აქცია, სადაც იქნება გამოტანილი მიმდინარე პრობლემატური საკითხები. ამ აქციაში მონაწილეობას მარტო თბილისელები არ მიიღებენ. ველოდებით, რომ ხალხი რეგიონებიდანაც ჩამოვა. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია...

# აფეთქება ბაღდადში

შეიარაღებულმა ბოევიკებმა გუშინ ბაღდადში ერთ-ერთი საფუნთუშეს ოთხი მუშაკი დაცხრილეს. თავდამსხმელებმა მიმალვა მოახერხეს, როგორც "როიტერი" იუწყება, წასვლამდე მათ საფუნთუშეს შესასვლელთან ყუთში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დატოვეს.

ბომბი შემთხვევის ადგილას პოლიციელების მისვლისთანავე აფეთქდა, რის შედეგად, წესრიგის ერთი დამცველი დაიღუპა და კიდევ ერთი დაიჭრა.

მორიგი აფეთქების გარდა, გუშინ ბაღდადში ერაყის ახალი მთავრობის ფორმირების შესახებ ჩიხში შესული მოლაპარაკების ახალი რაუნდიც უნდა დაწყებულიყო.

ქურთებისა და სუნიტების წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრის პოსტზე შიიტ იბრაჰიმ ალ-ჯააფარის დანიშვნის წინააღმდეგნი არიან, რომელიც ამჟამად გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრია. მოლაპარაკებებს ერაყში აშშ-ს ელჩი ზალმაი ჰალილზოდი შუამავლობს.

# საელჩოების "ქსელი" ფართოვდება

პირველი გვერდიდან

**"დანიასა და ნორვეგიაში საქართველოს თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს, პირველ რიგში, ნატო-ში გაწევრიანების საკითხში გვესაჭიროება მხარდაჭერა. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ძალიან მაღალი პარამეტრებია და მათი გამოცდილება ძალიან გამოადგება საქართველოს,"** - აცხადებს მომავალი ელჩი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელ სხდომას გელა ჩარკვიანიც ესწრებოდა, ოღონდ, არა პრეზიდენტ სააკაშვილის თანაშემწის რანგში, არამედ როგორც დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, აგრეთვე, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობის კანდიდატი.

**"ჩემი ბიოგრაფიის საკმაოდ ძნელ მომენტში მივდივარ ქვეყანაში, რომელიც პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესოა. მართალია, დიდი ბრიტანეთი სუპერსახელმწიფოს არ წარმოადგენს, მაგრამ გავლენისა და იდეების გენერაციის თვალსაზრისით, უდიდესი გავლენა აქვს მთელ მსოფლიოში,"** - სახელმწიფო კანცელარიიდან ნისლიან ალბიონზე მიუხარია ამირან კავაძის ადგილმონაცვლეს.



კოტე გაბაშვილმა არაერთი კურიოზი გაიხსენა დიპლომატიური ისტორიიდან.

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე ესპანეთში საქართველოს მომავალ ელჩს ზურაბ პოლოლიკაშვილსაც დაულოცეს გზა. მას შედარებით ხანმოკლე დიპლომატიური კარიერა აქვს - მხოლოდ სამი თვის განმავლობაში მუშაობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. თუმცა, პოლოლიკაშვილის "აქტივშია" ის, რომ ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, პოლონურ და იაპონურ ენებს.

**"იმდენი ენა იცის, მეგონა, უცხო ენათა უნივერსიტეტის რექტორად დანიშნავდნენ, მაგრამ გადავრჩით,"** - ქართველ დიპლომატებს "მაღარიჩის გადახდას" სთხოვს კოტე გაბაშვილი.

# დაპირისპირებული მხარეები დიალოგს იწყებენ

## ფრანგები კომპრომისის ძიებაში

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა პროფკავშირების და სტუდენტების წარმომადგენლებთან ახალი შრომითი კანონმდებლობის განხილვა დაიწყო. დიალოგს შედეგი ჯერჯერობით არ გამოუღია, მაგრამ დომინიკ დე ვილპენი ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აცხადებდა, რომ მზად იყო, გარკვეულ დათმობაზეც წასულიყო. თუმცა, დათმობა საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ორწლიანი ვადის შემცირება იქნებოდა ახალ კანონში. "პირველი დასაქმების ხელშეკრულება" 26 წლამდე ახალგაზრდების გამოსაცდელი ვადით აყვანის საშუალებას იძლევა, რომელიც ნებისმიერ დროს ორი წლის მანძილზე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან.

ქვეყანაში, თითქმის ორი კვირაა, საპროტესტო აქციები გრძელდება ახალ კანონთან დაკავშირებით, რომელიც ამარტივებს არა მარტო ახალგაზრდების სამუშაოზე მიღებას, არამედ მათ დათხოვნასაც.

პარიზსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მიმდინარე დემონსტრაციებში, ძირითადად, სტუდენტები და ლიცეუმის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა ერთკვირიანი პროტესტის შემდეგ მათ პროფკავშირების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

ახალგაზრდების ჯგუფები წვავდნენ ავტომანქანებსა და მაღაზიებს, ამსხვრევდნენ ვიტრინებს და ქვებს ესროდნენ პოლიციას. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულია დაახლოებით 420 ადამიანი.

28 მარტისთვის საფრანგეთში, მასშტაბური მანიფესტაციების გარდა, საყოველთაო გაფიცვაცაა დაგეგმილი, რომელშიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკები, ენერგეტიკოსები, მეტალურგები, ასევე კავშირგაბმულობის და საგანმანათლებლო სფეროს მუშაკები მიიღებენ მონაწილეობას.

*24 საათი*

# საბოლოო სიტყვა ბრიტანეთის მართლმსაჯულებაზეა

*რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, ბორის ბერეზოვსკის ექსტრადირების მოთხოვნით დიდი ბრიტანეთის პარლამენტს მიმართოს, გუშინ ახალი წინადადებით გამოვიდა - ბერეზოვსკის მიმართ გამოიყენონ ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროკავშირის კონვენცია.*

დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსის მქონე სკანდალური რუსი ბიზნესმენი, ბორის ბერეზოვსკი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მორიგი ბრალდების ობიექტი გახდა და, შესაბამისად, ექსტრადიციის მორიგი საფრთხე დაემუქრა. გარდა უკვე ოფიციალურად წარდგენილი ბრალდებებისა, რუსეთის სახელმწიფო სათათბირო გამოდის ინიციატივით, რომ მის მიმართ გამოიყენონ ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროკავშირის კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც სათათბირომ გუშინ მოახდინა. კონვენცია, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მჭიდრო თანამშრომლობას და პასუხისმგებლობის დაკისრების გარდუვალობის უზრუნველყოფას, პრინციპით "ან გადაეცი, ან გაასამართლე", ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ტერორიზმისკენ საჯარო მოწოდების, ასევე ტერორისტთა შეგროვებისა და მომზადებისათვის. ეს კი, სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთი წევრის აზრით, სრულად მიესადაგება ბერეზოვსკის.

რაც შეეხება ბერეზოვსკისთან მიმართებაში უკვე მიმდინარე სამართლებრივ პროცესებს, როგორც ცნობილია, ხუთშაბათს რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა განაცხადა, რომ გენერალური პროკურატურა ამზადებს ახალ მასალას, რომ ხელახლა მიმართოს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას ბორის ბერეზოვსკის რუსეთის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მოთხოვნით. საქმე ეხება რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" ბერეზოვსკის მიერ მიცემული ინტერვიუს გამო, 2006 წლის 16 თებერვალს, "ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩაგდების მცდელობის" მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომლის ფარგლებში დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ბორის ბერეზოვსკის, რუსეთის კანონმდებლობით, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

კოლესნიკოვის განმარტებით, ინტერვიუდან ნათელია, რომ: **"ბერეზოვსკი და მისი მომხრეები უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე ემზადებოდნენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად"**.

მისივე თქმით, რუსეთის გენერალური პროკურატურა ასევე ამოწმებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, ბორის ბერეზოვსკი აფინანსებდა შამილ ბასაევისა და სხვა ჩეჩენი ექსტრემისტების ტერორისტულ საქმიანობას. გარდა ამისა, გრძელდება 2001 და 2002 წლებში, ბერეზოვსკის მიმართ "ლოგოვაზსა" და "აეროფლოტში" აღმოჩენილი თაღლითობის გამო აღძრული საქმის გამოძიებაც. სწორედ ამ საქმის გამო მოითხოვა თავდაპირველად რუსეთის ხელისუფლებამ ბერეზოვსკის ექსტრადირება, რაზეც ბრიტანეთის სასამართლოს უარი მიიღო.

კოლესნიკოვის განცხადებით, ბერეზოვსკის ექსტრადირების შემთხვევაში, მას რუსეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე დააპატიმრებენ.

როგორ განვითარდება მოვლენები ახალი ბრალდებით ძველი მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ, ჯერჯერობით უცნობია. დიდი ბრიტანეთის ელჩი რუსეთში, ტონი ბრეტონი ამბობს, რომ ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხარე მისი ბრალეულობის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებებს წარადგენს.

**"ეს მთლიანად რუსეთის მხარეზეა დამოკიდებული - მათ შეუძლიათ მოითხოვონ ბორის ბერეზოვსკის ექსტრადირება და საკმარისი მტკიცებულებებიც უნდა წარადგინონ. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ბრიტანეთის ხელისუფლების პრეროგატივა არ გახლავთ, გადაწყვეტილებას ბრიტანეთის სასამართლო მიიღებს,"** - განაცხადა გუშინ ტონი ბრეტონმა.

თავად ბერეზოვსკი კი, რომელიც დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრით სარგებლობს, დარწმუნებულია, რომ რუსეთის ხელისუფლებას "მცირე შანსიც კი არ აქვს", მიაღწიოს მის ექსტრადიციას. ხუთშაბათს "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ორი თვის წინანდელი სკანდალური გამონათქვამები და განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მთელი ძალები "რუსეთში არსებული რეჟიმისთვის გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად" მიმართოს.

*24 საათი*

# "ბიზნეს ენა" - ინგლისური თუ ფრანგული?

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და საფრანგეთის დელეგაციის წევრებმა ევროკავშირის სამიტის სხდომა ერთ-ერთი მსხვილი ფრანგული კომპანიის ხელმძღვანელის გამოსვლის დროს პროტესტის ნიშნად დატოვეს.

შირაკი იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ ბიზნესმენმა ერნესტ-ანტუან სეიერმა დამსწრეებს ინგლისურ ენაზე მიმართა, რომელსაც მან "ბიზნესის ენა" უწოდა.

მოგვიანებით, შირაკი დარბაზში სხვა ფრანგის, ევროკავშირის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტ ჟან-კლოდ ტრიშეს სიტყვის მოსასმენად დაბრუნდა, რომელიც ფრანგულ ენაზე საუბრობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჟაკ შირაკის მიერ ფრანგული ენის დასაცავად მოწყობილი პირველი დემარში არ არის. 2004 წელს საფრანგეთის დელეგაციამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია დატოვა, როცა იმავე ჟან-კლოდ ტრიშემ ინგლისურ ენაზე დაიწყო საუბარი.

დიდი ხნის განმავლობაში ევროკავშირში ძირითადი სამუშაო ენა სწორედ ფრანგული იყო, თუმცა ბოლო ათი წელია, მას სულ უფრო ხშირად ცვლის ინგლისური.

*ინტერპრესნიუსი*

# მოლაპარაკებები "მეგობრული შეთანხმებისათვის"

## ინდოეთი და პაკისტანი საერთო ენას ეძებენ

ინდოეთსა და პაკისტანს შორის, რომლებიც უკვე ტრადიციულ მეტოქეებად ითვლებიან, ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ მოლაპარაკება პროგრესს განიცდის. თუმცა, ის წინადადება, რაც ინდოეთის მხრიდან წამოვიდა, პაკისტანს მაინც სიურპრიზად მიაჩნია. "დადებითი" წინადადება - სწორედ ასე შეაფასა ოფიციალურმა ისლამაბადმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მანჰომან სინგჰის ინიციატივა მეგობრული ხელშეკრულების დადების შესახებ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სამშვიდობო პროცესი, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში უკანასკნელ ხანს, ასე თუ ისე, გამოიკვეთა, რის დასტურადაც პაკისტანსა და ინდოეთს შორის სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენაც გამოდგება, აუცილებლად უნდა დასრულდეს ქვეყნებს შორის "მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მეგობრობის შეთანხმების" დადებით.

**"ჩვენ ძალიან კარგად ვართ განწყობილნი ამ წინადადებისადმი. აუცილებელია, ჩვენმა ქვეყნებმა, უმთავრესი პრობლემის გადაჭრის მიზნით, გაბედული ნაბიჯების გადადგმა შეძლონ. თუმცა, გაბედულ ნაბიჯებთან ერთად აუცილებელია ჩვენი წარსულის მემკვიდრეობის შეფასებისა და გადალახვისათვის მეტი გულწრფელობისა და მოქნილობის გამოვლენა,"** - განაცხადა პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინდოეთის საპასუხო მიმართვაში.

როგორც ცნობილია, ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობების უმთავრესი მიზეზი ქაშმირის პროვინციაა. თუმცა, რეგიონის პრობლემა მხოლოდ ამ საკითხით არ ამოიწურება, ორივე ქვეყნისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი და მტკივნეულია სიღარიბის, გაუნათლებლობისა და დაავადებების მაღალი მაჩვენებლის პრობლემები.

თანამედროვე ინდოეთი და პაკისტანი მსოფლიო რუკაზე 1974 წელს ბრიტანეთის ინდოეთის დაშლის შემდეგ წარმოიქმნენ. ერთ დროს ერთი ქვეყნის ნაწილებს ახლა ერთმანეთთან ტერიტორიული პრეტენზიები აკავშირებთ. ათწლეულების მანძილზე მათ სადავო შტატების - ჯამუსა და ქაშმირის გაყოფა ვერ შეძლეს.

# მონიტორინგით აღმოჩენილი დარღვევები

სახალხო დამცველის აპარატი დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილების მონიტორინგს განაგრძობს.

სოზარ სუბარის უწყების მონიტორინგის ჯგუფმა თელავის, დედოფლისწყაროს, წალკისა და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილებების განმეორებითი მონიტორინგი ჩაატარა და დარღვევები კვლავ აღმოაჩინა; კერძოდ, როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, წალკის პოლიციის განყოფილებაში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში არც ერთ დაკავებულზე სრულყოფილად არ იყო შევსებული შესაბამისი გრაფები. ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორში აღრიცხვის წიგნის ნახვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

**"მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ იზოლატორებში მდგომარეობა ჯერჯერობით არ შეცვლილა, შენობები კი დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს.**

**დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მძიმე პირობები და ანტისანიტარია იქ მყოფი დაკავებული პირების ადამიანურ ღირსებას ლახავს, არღვევს ადამიანის უფლებებს და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას",** - ასეთია მონიტორინგში მონაწილეების დასკვნა.

სახალხო დამცველმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა ზესტაფონის შს რაიგანყოფილების გამომძიებელს კახა ღავთაძეს, რომელმაც კონკრეტულ საქმეზე წერილობითი ახსნა-განმარტება არ მიაწოდა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს.

ომბუდსმენის რწმუნებულებმა ზესტაფონის შს რაიონული განყოფილების მონიტორინგისას დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალში აღმოაჩინეს, რომ დაკავებული პირის მანუჩარ კვინიკაძის განყოფილებაში შეყვანის დრო 20 წუთით უსწრებდა დაკავების დროს, რაც ალოგიკური იყო; შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ კვინიკაძე უფრო ადრე იყო დაკავებული, ვიდრე ამას გამომძიებელი ოქმში აფიქსირებდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება მოსთხოვეს გამომძიებელს, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა.

დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილებების მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სახელმწიფო დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებების მიღებისა და რეგისტრაციის კანონთან შესაბამისობის მონიტორინგსაც ახორციელებენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მათ უკვე მოინახულეს სახელმწიფო კანცელარია, იუსტიციის სამინისტრო, თბილისის საკრებულო, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგადასახადო სამსახური, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის რაიონული პროკურატურა, საჯარო რეესტრი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სახალხო დამცველის აპარატი განსაკუთრებით უკმაყოფილოა სახელმწიფო კანცელარიისა და თბილისის პროკურატურის მისაღებში არსებული მდგომარეობით.

**"საჯარო დაწესებულებების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე ცუდი მდგომარეობა სახელმწიფო კანცელარიასა და თბილისის რაიონულ პროკურატურაშია - კერძოდ, ამ უწყებებში მოქალაქეთა განცხადებები მისაღებში დადგმულ სპეციალურ ყუთებში გროვდება, რეგისტრაციის ნომრის გაგება მოქალაქეებს პროკურატურაში - მხოლოდ მეორე დღეს, ხოლო კანცელარიაში ერთი კვირის შემდეგ შეუძლიათ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრ საჯარო უწყებაში განცხადების ან წერილის რეგისტრაციაში გასატარებლად მოქალაქეებს დიდხანს უწევთ რიგში დგომა",** - ასეთი გახლავთ ომბუდსმენის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

სხვათა შორის, ომბუდსმენის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრთა მსგავსად, სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებში შემოწმებას სისტემატურად ახორციელებენ იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსნებიც. იუსტიციის მინისტრის მოადგილის გივი მიქანაძის სამეგრელოს რეგიონში ამ მიზნით სტუმრობას წალენჯიხის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფროსის თანამდებობა შეეწირა. იუსტიციის მინისტრის მოადგილეს წალენჯიხის რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ოფისი დაკეტილი დახვდა. სამსახურთან კი მოქალაქეთა რიგი იდგა, რომლებიც უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ელოდნენ. იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, წალენჯიხის სამოქალაქო რეესტრის უფროსი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

*24 საათი*

# პატიმართა ეტაპირების პროცესი გრძელდება

ქუთაისის ახალ საპყრობილეში პატიმართა ეტაპირების პროცესი გრძელდება. ამ დროისათვის ქუთაისის ციხეში თბილისისა და ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან 163 პატიმარია ჩაყვანილი.

გუშინ დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია მსჯავრდებულებზე ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ. სიტუაციის გასარკვევად ქუთაისის საპყრობილეში მთელი დღის მანძილზე მონიტორინგის საბჭოს წევრების და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მათი განცხადებით, პატიმრები არ ადასტურებენ ცემის ფაქტებს, თუმცა რამდენიმე მსჯავრდებულს სისხლჩაქცევები და დაჟეჟილობები აღენიშნება.

"დაზიანებას სხეულზე პატიმრები ერთმანეთთან კონფლიქტით და ჩხუბით ხსნიან", - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატის წევრები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ეტაპირების პროცესში არც ერთ პატიმარზე არ მომხდარა ფიზიკური ზემოქმედება. ეტაპირებულ პატიმართა რაოდენობა საჯაროდ მხოლოდ გადაყვანის პროცესის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი, რადგან, კანონით, პატიმართა ეტაპირების დროს დეტალების საჯაროდ გახმაურება აკრძალულია.

*ინტერპრესნიუსი*

# განაჩენის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

რეაგირებად კი შალვა რამიშვილი მის დაპატიმრებასა და გამოძალვის მუხლით გასამართლებას მიიჩნევს. როგორც ცნობილია, ეს ბრალდება, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, წინა სასამართლო სხდომაზე კი ბრალმდებელმა ლმობიერება გამოიჩინა და განსასჯელთათვის 5-5 წლიანი პატიმრობა მოითხოვა. ბოლო ხანებში აპრობირებული ტენდენციის მიხედვით, მოსამართლეები, მართალია, ბრალმდებელთა პოზიციას ეთანხმებიან, მაგრამ მათზე ოდნავ უფრო ლმობიერი პოზიციის გამოხატვის მიზნით, პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს ერთ წელიწადს აკლებენ. როგორც ჩანს, სწორედ ამ ტენდენციიდან გამომდინარე, იწინასწარმეტყველა შალვა რამიშვილმა საკუთარი განაჩენი - ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა იმედი მაინც დაიტოვა, რომ მოსამართლეს აქვს დრო სამართლიანი გადაწყვეტილების გამოსატანად.

**"თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ დრო საიმისოდ, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოთ. მართალია, ამის გამო, შესაძლოა, თანამდებობიდან გაგათავისუფლონ, მაგრამ, დამიჯერეთ, ეს დროებითი იქნება",** - მიმართა რამიშვილმა მოსამართლე ნინო სანდოძეს.



*სასამართლო პროცესის დაწყებამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.*

გუშინვე სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დავით კოხრეიძემ. როგორც მან სასამართლოზე განაცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესი აბსოლუტურად ტენდენციური იყო და მოსამართლე ჩქარობს ამ განაჩენის გამოტანას.

გარდა ამ შეფასებისა, დავით კოხრეიძემ პოსტრევოლუციური დაპატიმრებების საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტიც გაიხსენა: **"პროკურატურამ "ნაციონალური მოძრაობის" წევრი გია კენჭაძე ბიზნესმენისთვის 100 ათასი დოლარის გამოძალვის ბრალდებით დააკავა და იგი წელიწადისა და ოთხი თვის შემდეგ გაათავისუფლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაასახელა, ვინ "ვანოსთან" მიჰქონდა ფული. ამ ფონზე, ჩვენს მიმართ განხორციელებული უკანონობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება",** - განაცხადა დავით კოხრეიძემ და, რამიშვილის მსგავსად, მათ წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პორცესს პოლიტიკური დაკვეთა უწოდა.

გაითვალისწინებს თუ არა მოსამართლე შალვა რამიშვილის რჩევებს, ეს 29 მარტს, მაშინ გაირკვევა, როდესაც სასამართლო ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების განაჩენის კითხვას დაასრულებს.

გუშინ კი, სასამართლო პროცესის დაწყებამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლებს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, "თანასწორობის ინსტიტუტის" ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, საზოგადოებას სურს, დაიჯეროს, რომ სასამართლოები არ შეასრულებენ პოლიტიკურ დაკვეთას. თუმცა, მისივე თქმით, რამიშვილი-კოხრეიძის პროცესი წმინდად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

ჩხარტიშვილისვე განმარტებით, "202"-ის დამფუძნებლებს ბრალად თანხის გამოძალვა ედებათ. თუმცა, სასამართლოზე წარდგენილი არაერთი ფარული ჩანაწერით მტკიცდება, რომ ფულის გამოძალვას ადგილი არ ჰქონია.

"კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიგურის თქმით კი, სასამართლო შეეცდება, იმდენი წელი მიუსაჯოს შალვა რამიშვილსა და დავით კოხრეიძეს, რომ ისინი საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე პატიმრობაში დარჩნენ. ძიძიგურის თქმით, სასამართლოზე ამგვარი ზეწოლა კომუნისტების დროსაც არ ყოფილა.

*24 საათი*

# დაკავებულების თავდებობა

"კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა გუშინ, კაზრეთისა და მარნეულის რაიონის მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად სახალხო დამცველის ოფისში პრესკონფერენცია გამართა.

კობა დავითაშვილის განცხადებით, კაზრეთსა და მარნეულის რაიონში იანვარსა და თებერვალში მოსახლეობის მიერ გამართული საპროტესტო აქციები ხელისუფლებამ სპეცრაზმის გამოყენებით დაარბია, რა დროსაც რეზინის ტყვიებიც გამოიყენეს. დაკავებულია 13 ადამიანი. აქციების გამართვის გამო, ხელისუფლებამ დაკავებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**"კაზრეთის მოსახლეობა ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებას ითხოვდა, ხოლო მარნეულის რაიონის აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა - მიწების განაწილებას. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ პრეზიდენტი მათი რეალური მოთხოვნების შესახებ საქმის კურსში არ არის. ისინი სოციალური პრობლემების გამო გამართული აქციების დარბევას უსამართლობად მიიჩნევენ. მე მზად ვარ, აქციების დროს დაკავებულებს თავდებში დავუდგე",** - აცხადებს კობა დავითაშვილი და ხელისუფლებისგან მათ გათავისუფლებას მოითხოვს.

*ინტერპრესნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..................................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# ტენდერი საოფისე ავეჯის შესყიდვაზე

**განაცხადის თარიღი: 2006 წ. 25 მარტი**

**დახურვის თარიღი: 2006 წ. 4 პრილი, 18:00.**

განათლების განვითარების აკადემია "AED" (Academy for Educational Development), რომელიც წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარების პროექტის განმახორციელებელს ("ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტი" GEDA) აცხადებს კონკურსს ორგანიზაციის გამოსავლენად, ქვემოთ ჩამოთვლილი საოფისე ავეჯის დამზადება - შესყიდვაზე:

ლოტი 1

| N | ავეჯის დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | საკონფერენციო სკამი | რბილი ზურგით და დასაჯდომით, სახელურების გარეშე, მუქი ფერის. | 1200 |
| 2 | სავარძელი (კომპიუტერის მაგიდის) | საშუალო ზომის, ნაჭრის, რბილი, ბორბლებზე, სიმაღლის და ზურგის რეგულირება, სახელურებით | 180 |

ლოტი 2

| N | ავეჯის დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერის მაგიდა | ლამინირებული დაპრესილი ხის მაგიდა რკინის ფეხებით (130 X 80 X 75) | 180 |
| 2 | უჯრებიანი ტუმბო | ლამინაირებული ბორბლებიანი ტუმბო, დაპრესილი ხის, ერთი ჩასაკეტი უჯრით, ბორბლებზე (40 X 50) | 120 |
| 3 | თაროებიანი ტუმბო | ბორბლებიანი ტუმბო პრინტერის, პროექტორის და სხვა ნივთების დასადებად (50 X 70) | 60 |
| 4 | თაროები | ლამინირებული დაპრესილი ხის თაროები, 4 დანაყოფით (185 X 100 X 35) | 210 |
| 5 | კარადა | ლამინირებული, დაპრესილი ხის კარადა, 4 თაროთი და ჩასაკეტი კარებით (185 X 100 X 35) | 150 |
| 6 | მაგიდა | ლამინირებული, დაპრესილი ხის მაგიდა სამზარე-ულოსთვის და ბიბლიოთეკისთვის (200 X 100 X 75) | 60 |
| 7 | მაგიდა | ლამინირებული, დაპრესილი ხის მაგიდა ბიბლიოთეკისთვის (200 X 70 X 75) | 30 |
| 8 | მაგიდა | ლამინირებული, დაპრესილი ხის მაგიდა ბიბლიოთეკისთვის (100 X 80 X 75) | 60 |

ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ა/წ 4 აპრილის 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

**ა) იურიდიული პირებისთვის:**

1. შემოთავაზებული საოფისე ავეჯის განფასება, ზუსტი აღწერილობა და ავეჯის ფოტოები (სასურველია იყოს წარმოდგენილი მასალის / ნაჭრის ნიმუში);
2. მოწოდების გრაფიკი და ვადები;
3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის სასამართლო დადგენილება ან ცნობა საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის შესახებ (საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით) და წესდების ასლი;
5. ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან იმის შესახებ რომ მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის ანგარიშზე არ აღირიცხება დავალიანება;
6. ცნობა საჯარო რეესტრიდან ორგანიზაციის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;
7. ცნობა საქალაქო სასამართლოდან იმის შესახებ რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის პროცესი;
8. ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
9. ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური შეკვეთების შესრულების შესახებ (სამუშაოთა მითითებებით);
10. ბალანსზე აღრიცხული ტექნიკურ საშუალებათა ჩამონათვალი;

**ბ) ფიზიკური პირებისთვის:**

1. შემოთავაზებული საოფისე ავეჯის განფასება, ზუსტი აღწერილობა და ავეჯის ფოტოები (სასურველია იყოს წარმოდგენილი მასალის / ნაჭრის ნიმუში);
2. მოწოდების გრაფიკი და ვადები;
3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი ინდ. მეწარმის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი ინდ. მეწარმის ცნობა საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის შესახებ (საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით);
5. ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან იმის შესახებ რომ მონაწილეობის მსურველი ინდ. მეწარმის ანგარიშზე არ აღირიცხება დავალიანება;
6. ცნობა საჯარო რეესტრიდან ინდ. მეწარმის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;
7. ცნობა საქალაქო სასამართლოდან იმის შესახებ რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი ინდ. მეწარმის გაკოტრების პროცესი;
8. ცნობას ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
9. ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხოელებმა ცნობები უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ორგანოებიდან).
10. ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ანალოგიური შეკვეთების შესრულების შესახებ (სამუშაოთა მითითებებით);

ინფორმაციისათვის, დეტალების გასარკვევად, ავეჯის ზუსტი აღწერილობის, ზომებისა და სატენდერო საბუთების მისაღებად გთხოვთ წინასწარ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

დ. უზნაძის ქუჩა N52, ოთახი 218; ტელ/ფაქსი: 96-77-90;

სატენდერო განცხადების ხილვა ასევე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge

სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 4 აპრილი.

გისურვებთ წარმატებას.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ამდენს მაინც არავინ მათქმევინებდა

ინგა გრიგოლიას გასული კვირის გადაცემა "რეაქციაში" ვიყავი მიწვეული, მაგრამ დროის უქონლობის გამო მიწვევა ვერ მივიღე (იმ დღეს მეც ვმუშაობდი), თუმცა გახმაურებული, სადისტური და ბევრი სხვადასხვა ნიშნით ალმაშფოთებელი გირგვლიანის მკვლელობის თემიდან გამომდინარე, გადაცემაში არმონაწილეობამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩინა. ჩემი, როგორც საზოგადოების წევრის, აზრი უთქმელი დამრჩა. მეორე მხრივ, ახლა რომ ვფიქრობ, გადაცემაში მონაწილეთა ლაპარაკის ოდენობიდან, ოსტატობიდან გამომდინარე, იმდენს, რამდენსაც ჩემს საავტორო რუბრიკაში ვიტყვი, მაინც არავინ მათქმევინებდა, თანაც სათქმელი, სამწუხაროდ, დაგვიანებული არ არის.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ამ კონკრეტულ საქმეზე გადაცემის, სიუჟეტის მომზადებისას ნებისმიერი ჟურნალისტისგან და მით უმეტეს, ჩემთვის საპატივცემულო, უეჭველად პროფესიონალი ინგა გრიგოლიასგან გასაკვირი ის არის, რომ ეთერში პოლიტიკოსებს და არა საზოგადოების წარმომადგენლებს იწვევს, საზოგადოებისა, რომელმაც სწორედ ამ მკვლელობასთან დაკავშირებით დღემდე უნახავი სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოვლენა შეძლო. საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი ეტაპური მკვლელობა ახსოვს. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელ-ალმაშფოთებელი იყო, როდესაც წლების წინ დამნაშავეთა სკამზე მჯდომ ჯგუფურ ახალგაზრდა მკვლელებს, მათ მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს ჩადენილი ცხოველობა გმირობად ჰქონდათ აღქმული და მოწოდებული, საზოგადოება კი შეშინებული დუმდა. ეს იყო, ჩემი აზრით, ერთ-ერთი პირველი მესიჯი, რომელსაც განუკითხაობის, დაუსჯელობის, შეიარაღებული დაჯგუფებების თარეშის, ახალგაზრდობის მენტალიტეტის გახრწნის, კრიმინალური აზროვნების, იმიჯის ფეტიშის, ღირებულებების აღრევის, მკვლელის, კბილებამდე შეიარაღებულის, აგრესიულისა და დაუნდობლის განდიდების სინდრომი მოჰყვა. "მაგარია, ერთი-ორი "ტრუპი" აკიდია!" ეს, თავისთავად საოცარი შინაარსის ფრაზა, თინეიჯერებში წლების განმავლობაში სრულიად ბანალურად ჟღერდა. თითოეულ თავმოყვარე სკოლის ბოლო კლასის მოსწავლეს ერთი ვინმე დაჭრილი მაინც უნდა ჰყოლოდა, ვინმესთვის წართმეულ მანქანაზე უნდა მჯდარიყო, ქამარში იარაღი უნდა ჰქონოდა გარჭობილი და სასურველია კაიფშიც ყოფილიყო, რომ გოგოს მოსწონებოდა, კლასელებს პატივისცემა გასჩენოდათ. კრიმინალური სამყაროსთვის დამახასიათებელი მანერებიც კი - მოხრილი სიარული, ფეხების ოდნავი თრევა, ქუჩის კუთხეში ბირჟაზე ჩაკუზვა, კბილებშორის გადაფურთხება, წაწოლილი ჯდომა და ა.შ. მოდაში შემოვიდა. ეს იყო იდეოლოგია, რომელზეც თაობები იზრდებოდა და რომელსაც, სხვათა შორის, ქართული საზოგადოება ზერელედ უყურებდა, აუხსნელად და გაუმართლებლად დუმდა. ცუდი კარგი გახდა, კარგი, ნორმალური კი - დასაცინი, "ფრაერული". ამ ანომალიაში, საზოგადოების უპატიებელ ლოიალობაში გაზრდილი თაობები დღეს 25-35 წლისანი არიან. მუშაობენ, ოჯახდებიან, მაღალ თანამდებობებს იკავებენ, ფულს შოულობენ, შვილებს ზრდიან, მაგრამ ბავშვობაში მიღებული აღზრდა, რომელიმე "ტრუპებიანი" უბნელის კომპლექსი, პირველი სიყვარულის მიერ უფრო "კრუტოის" სასარგებლოდ ნათქვამი უარი ბევრ მათგანს დღესაც არ ასვენებს, ახსოვს. კონკრეტულად ეს შეიძლება არავის ბრალია. ასეთი დრო და დროის მოთხოვნები იყო. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან თუ ვინმეს დადანაშაულებაა შესაძლებელი, ეს მხოლოდ ქართული საზოგადოებაა, რომელმაც სათანადო სიმტკიცე, პრინციპულობა ვერ გამოიჩინა და საკუთარი შვილები საკუთარ უხერხემლობასვე შეწირა.

გირგვლიანის მკვლელობა, ჩემთვის პირადად, ყოველთვის ეტაპურ მკვლელობად დარჩება არა მარტო მაღალჩინოსანი მკვლელების, არამედ, სავარაუდო დამკვეთების დაჭერით, თუმცა არც ამით ვიყავით დიდად განებივრებულები, არამედ საზოგადოების ერთიანი, მტკიცე, დაუნდობელი პოზიციით. ნოემბრის რევოლუცია არა ცალკეული პოლიტიკოსის, არამედ ერთიანი საზოგადოების მიღწევა იყო, რომელმაც საკუთარი ძალა, შესაძლებლობა, დაუმარცხებლობა თვალნათლივ დაგვანახა, დაგვაჯერა. ქვეყნის მსგავსად, საზოგადოებაც ფეხზე წამოდგა, საკუთარი ყოვლისშემძლეობა ირწმუნა, წლების განმავლობაში მივიწყებული უკომპრომისობა აღიდგინა და მთავარ მსჯავრდებულად მოგვევლინა. მსჯავრდებულად, რომელმაც გირგვლიანის მკვლელების, დამკვეთების მიმართულებით მრისხანე ხელი არა ორმოცდამეხუთე დღეს, არამედ ბევრად უფრო ადრე გაიშვირა. მართალია, მკვლელობა ბოლომდე გამოძიებული, ყველა დამნაშავე დასჯილი ჯერ არ არის, მაგრამ ამ ეტაპამდეც იგი არა პოლიციამ, არა ცალკეულმა მაღალჩინოსნებმა, არა ხელისუფლებამ ან, მით უმეტეს ოპოზიციამ, არამედ საზოგადოებამ გახსნა. ამიტომაც ამ თემისადმი მიძღვნილ ნებისმიერ გადაცემაში, ტოკ-შოუში არა პოლიტიკოსების, არამედ სწორედ საზოგადოების წარმომადგენლების მოწვევა, მათი აზრის, მოთხოვნების მოსმენა ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთმანეთის მეტი არავინ და არაფერი აინტერესებს, მხოლოდ ერთმანეთს ეჯინებიან, ელაპარაკებიან ან ბოიკოტირებენ, ამ დროს კი ავიწყდებათ, რომ ერთსაც და მეორესაც პასუხი მხოლოდ საზოგადოების წინაშე აქვთ გასაცემი. მხოლოდ საზოგადოებაა მათი არბიტრი. ოპოზიციის სათქმელი თითოეულმა ჩვენგანმა ზეპირად იცის. მათი პოპულიზმი, სპეკულაცია და თუ გნებავთ პროვოკაციაც, არაერთხელ მოგვისმენია, გვინახავს და უნდა გამოგიტყდეთ, გვარიანად მოგვბეზრდა. იქნება ეს "ჯღანას" საქმე, სალარო აპარატები, განათლების რეფორმა თუ საზარელი მკვლელობა. ტონი და, თქვენ წარმოიდგინეთ შინაარსიც კი, ყველგან ტრაფარეტული, გადაჭარბებული და შესაბამისად გამაღიზიანებელია. ხელისუფლების მხრიდან უაპელაციო ტონიც არაერთხელ მოგვისმენია. ისიც ვიცით, რომ თავისთვის განსაკუთრებულად რთულ სიტუაციებში, მაგალითად, როგორც გირგვლიანის საქმეში, ტონის ოდნავ დაწევაზე, საკუთარ რიგებში ცალკეული ანომალიების არსებობის აღიარებაზე, თუნდაც "ერთგულების" ხარჯზე ბრალის გამოსწორებაზე, დიალოგზე, საზოგადოებრივი აზრის მიყურადებაზე გამომწვევად უარს აცხადებენ. ქვეყანა კრუხი არ არის, მთავრობის ან მით უმეტეს პოლიციის ცალკეული წარმომადგენლები კი მისი წიწილები, რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადაეფარო. არის რაღაცა ტიპის დანაშაულები, რომლებიც არამცთუ ცალკეულ მაღალჩინოსან თავხედ "ძაღლებს", არამედ საკუთარ შვილსაც არ ეპატიება. ერთ ჩემს ნაცნობს ღრმა ახალგაზრდობაში ჩხუბში კაცი შემოაკვდა. გრძელვადიანი სასჯელიც მოიხადა, გამოვიდა და მეტ-ნაკლებად ცხოვრება განაგრძო, მაგრამ დედამისმა, მკვლელობის დღიდან სიკვდილის ბოლო წუთამდე, ეს კი ათწლეულები გაგრძელდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ქუჩაში გასვლაზე, თავშეყრის ადგილებში გამოჩენაზე, საკუთარი თავის ელემენტარულ მოვლაზე (ლამაზი ქალი იყო), ნებისმიერი სახის სიამოვნებაზე, ფუფუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საკუთარი თავი უმკაცრესად დაისაჯა.

ის, რომ რევოლუციის შემდგომმა პოლიციამ სახეცვლილება, სერიოზული მეტამორფოზა განიცადა, ამაზე, ნორმალური, არავინ კამათობს. არც ის არის საკამათო, რომ შს მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მერაბიშვილმა საზოგადოების თვალში უამრავი ქულა დააგროვა, ნდობა და ავტორიტეტიც კი მოიპოვა. მაგრამ ხომ იცით, აღმართში, კიბეზე ასვლა ჩამოსვლაზე ბევრად რთულია. ახვალ ათ წუთში, გაიქაფები, დაიღლები - ჩამოხვალ ერთში, უფრო სწორად, ჩამოგორდები ან ჩამოვარდები, ან ჩამოსრიალდები. აქაც ასეა. ის, რასაც შს სამინისტრომ, პირადად მინისტრის ხელმძღვანელობით, თვეებისა და თვეების განმავლობაში მიაღწია, სულ რაღაც 45 დღეში დაკარგა. შსს საზოგადოების ნდობის კიბეზე საკმაოდ მაღლა ავიდა და ერთი მკვლელობის გამო წამიერად კვლავ ნულოვან წერტილზე აღმოჩნდა. ახლა ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი, მისაღწევი. რატომ, გამაგებინეთ? რატომ არ შეიძლებოდა ელემენტარული ინტუიციის გამოჩენა, საზოგადოების განწყობის შეგრძნება, დროული, ხაზს ვუსვამ, დროული ადეკვატური რეაგირება და არა კვირების განმავლობაში წინასწარ განწირული მიჩუმათება. ვისი აბნევა, მოტყუება, გასულელება უნდოდათ? საზოგადოებისა, რომელმაც საკუთარი ძალის შესაძლებლობა თქვენივე მეთაურობით ერთხელ უკვე აშკარად გაიგო და აღარასდროს დათმობს?! რატომ არ შეიძლება, რომ ახლა, ნულოვან, დამწყებ პოზიციაზე მყოფმა შსს-მ, თუნდაც "ერთგული" დამკვეთები დასაჯოს, ჩამორთმეული მანქანებით განუკითხავი თარეში ერთხელ და საბოლოოდ აღმოფხვრას, მკვლელები შოტლანდიური პლედების გარეშე ცალ-ცალკე ისეთ საკნებში ჩასვას, სადაც მათ მიერვე დაჭერილი მექრთამე პოლიციელები, მოსამართლეები, გამომძიებლები, პროკურორები სხედან? რატომ არ შეიძლება, რომ ხელისუფლებამ არა ოპოზიციას, არამედ საზოგადოებას მოუსმინოს? რატომ არ შეიძლება, რომ გირგვლიანის სამარცხვინო საქმეს ერთი საბოლოო, ოღონდ არა შეთითხნილი წერტილი დაესვას? წერტილი, რომელიც ისეთი მელნით იქნება დასმული, რომელიც არასდროს აორთქლდება.

ქართული პოლიციის უახლოეს წარსულს ბევრი ისეთი პოლიციელი მაღალჩინოსნის სახელი ახსოვს, რომლებიც ადამიანების გატაცებაში, მკვლელობებში, ნარკოვაჭრობაში, რეკეტში, წამებებში, მანქანების წართმევაში, საკნებში პატიმრების განსაკუთრებული სისასტიკით ცემაში მონაწილეობდნენ. დამერწმუნეთ, მათ ოდიოზურ სახელებს გირგვლიანის მკვლელების, სავარაუდო დამკვეთების სახელებიც შეუერთდა. მაგრამ თუ პირველ ნაწილს ზოგადად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ადეკვატურ ექოდ აღვიქვამდით, პოსტრევოლუციური მკვლელი პოლიციელები ბევრად უფრო მწვავედ, მტკივნეულად, ზურგში ჩარტყმული დანასავით აღიქმებიან.

აბა, ამდენს რომელ ტოკ-შოუში მალაპარაკებდნენ? ნათელაშვილი ამომაღებინებდა ხმას თუ ანა დოლიძე? ხოდა, მეც ვისარგებლებ და სათქმელს ბოლომდე ვიტყვი.

გირგვლიანის მკვლელობა ბევრი სხვადასხვა ფაქტორის ხარჯზე გახდა ეტაპური. პირველი, როგორც უკვე მოგახსენეთ, საზოგადოების უჩვეულო აქტივობა, ერთსულოვნება და სიმტკიცეა. საზოგადოებამ გამოიძია და მიუსაჯა კიდეც. მეორე - შს სამინისტროს მიერ მიღწეული წარმატებების დაკარგვის აშკარა საშიშროებაა. მესამე - ოპოზიციის ნაწილის იაფფასიანი სპეკულაცია, ხელისუფლების სიჯიუტე, დაბნეულობა და მათ შორის ჩატეხილი ხიდი. მეოთხე - პოლიციაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებული მკვლელების გარდა, სხვა ანომალიების გამოაშკარავება - "თავისიანების" დანდობა, გამოძიების არაობიექტურად წარმოების, სიმართლის მიმალვის მცდელობა და საგანგაშო ორმაგი სტანდარტი. მეხუთე - თითოეულ ჩვენგანს უნდა გვეფიქრა, რომ როდესაც სრულიად გამოუცდელ 20-25 წლის ბიჭებს უზარმაზარი, ყველაზე რთული, წლების განმავლობაში გახრწნილი სისტემის ნაწილს აბარებ, ბიჭებს, რომლებიც სწორედ იმ იდეოლოგიაზე გაიზარდნენ, სადაც მკვლელობა მუშაობაზე ბევრად უფრო პრესტიჟული, მომგებიანი იყო, ტაბელურ იარაღს აძლევ, მორჩილ დაცვას მიუჩენ, სადგომიდან ჩამორთმეული მანქანის გასაღებს ჩააჩუტებ, მათ პირველივე წვრილმან თავხედობას, ძალაუფლების გადაჭარბებას ახალგაზრდულ ცელქობად აღიქვამ, ისინი აუცილებლად, ადრე თუ გვიან, ვიღაცას მოკლავენ.

გირგვლიანის მკვლელობაში დამნაშავე როგორც ცალკეული დეზორიენტირებული, დაუსჯელობითა და ყოვლისშემძლეობით თავბრუდახვეული პოლიციელია, ისე ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, სამინისტროც და მთლიანად ქართული საზოგადოებაცაა. ყველა ჩვენგანი, ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში ნანახს, გაგონილს გამარჯვებული ბიჭების უბოროტო ცელქობად, გართობად აღვიქვამდით, ამასობაში კი რიგითი მკვლელები წამოგვეზარდნენ. უფრო სწორად, კი არ წამოგვეზარდნენ, სათბურ პირობებში ჩვენვე გავზარდეთ. მაგრამ "გამზრდელის" მორალი ამ შემთხვევას ნამდვილად არ მოუხდება. აქ უფრო ლოგიკურია ციტატა საბავშვო ლექსიდან - "вырастит из сына свин, если сын свиненок".

გირგვლიანის მკვლელობის საზარელ მაგალითზე ქართული საზოგადოება დარწმუნდა, რომ მას არა მხოლოდ რევოლუციების მოწყობა, განსჯა, დასჯა, არამედ, სამწუხაროდ, "свин"-ების გაზრდაც შეძლებია.

# ბარემ ზამთარში პეპლები გვაჭერინონ!







გადაჭარბებული ცელქობის, სიჯიუტის, შენიშვნის არმოსმენის, ჭირვეულობის ან ელემენტარული უსაქციელობის, უზრდელობის შემთხვევაში თითოეულ ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. ზოგიერთს მშვიდი, მოთმინებით აღსავსე ახსნა ესმის, ზოგიერთს მოფერება, თხოვნა უხდება, ზოგიერთს, როგორც დიდს, ისე უნდა დაელაპარაკო და გაიგებს, ზოგიერთთან კი მხოლოდ გაჯავრება ჭრის. შვილები ყველას გაგვიზრდია და ამგვარი პედაგოგიური გამოცდილება თითოეულ ჩვენგანს, მეტ-ნაკლებად, გაგვაჩნია. მაგრამ, აი რა მეთოდია საჭირო, რომელი ფორმაა ეფექტური, როდესაც საქმე არა ბავშვთან, არამედ გაჯიუტებულ, ჭირვეულ, შენიშვნებისადმი ინდიფერენტულ და საკუთარ უაპელაციო სისწორეში უსაფუძვლოდ დარწმუნებულ ხელისუფლებასთან, ან ცალკეულ მის წარმომადგენელთან გვაქვს. ამის გამოცდილება კი ნამდვილად არ გვყოფნის.

აგერ, უკვე რამდენიმე თვეა, რაც რომელიღაც ხელისუფალმა ჯიუტად დაიჩემა - ყინულზე სრიალი უნდა გასწავლოთო! თავდაპირველად ხუმრობაში გავატარეთ, საახალწლო დროებით ახირებად მივიჩნიეთ. რამდენიმე დღისთვის რიყეზე გაკეთებული ყინულის მოედანი ზამთრისა და თავისთავად რიყეზე გაშენებული რესტორნების სიმახინჯის გამო, დიდ დანაშაულად არ აღვიქვით. მაგრამ, ამასობაში, გაზაფხულდა, დათბა, ყინული დიდი ხანია დადნა, ჩვენ კი მაინც არა და არ გვეშვებიან. ნელ-ნელა უმატეს და ახლა უკვე თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ, არქიტექტორ ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ დაპროექტებულ შენობას, სპორტის სასახლეს, მის მთავარ ფასადსა და ჯუნა მიქატაძის ძეგლს მიადგნენ და ყინულის მოგონილი მოედნით დაუნდობლად, სრულიად უკულტუროდ ამახინჯებენ.

თბილისში ყინულის დახურული დარბაზი არსებობს, სადაც უამრავი, განსაკუთრებით კი ფილტვების პრობლემამქონე ბავშვები დადიან. საკმარისი არ არის? კი ბატონო, კიდევ ერთი, ორი ან თუ გნებავთ ათი ავუშენოთ. წინააღმდეგი არავინ არის. თბილისში სპორტის სასახლის ღირებულების არცთუ ბევრი შენობა არსებობს და უმჯობესია, მის გადარჩენა-მოვლაზე და არა შეურაცხყოფაზე (მით უმეტეს, რომ უკანონო, ენით აუწერელი კორპუსებით ისედაც საკმარისად შეურაცხვყვეთ) ვიზრუნოთ. ამის მაგივრად კი კიდევ უფრო მეტ უკულტურობას, უვიცობას, ღირებულებების არქონას, ელემენტარულ სიჯიუტეს ვავლენთ და არქიტექტურული ძეგლის წინა ფასადზე, შუაგულ საბურთალოს თაკარა მზეში "ბახმაროს" მოწყობას ვგეგმავთ?! ხელოვნური "ბახმაროს" თბილისში გაკეთებას, გაუბედურებულ, მოუვლელ, უპირობებო ბახმაროს მივხედოთ, დედაქალაქში არსებულს, თაობებით დანატოვარს მოვუფრთხილდეთ და სულელურ, ბავშვურ-პროვინციულ ფანტაზიებს მოვეშვათ! ძალიან მაინტერესებს, ამ ყინულის მოედანზე ჩაციებული ვინ არის? ვინ ფიქრობს სერიოზულად, რომ 30-35-გრადუსიან სიცხეში თბილისელები ციგურებს ჩაიცვამენ და წყალწყალა ყინულზე თავპირის მტვრევით ისრიალებენ? ვის არ ესმის სპორტის სასახლის, როგორც არქიტექტურული ძეგლის, ჭეშმარიტი ღირებულება და ლადო ალექსი-მესხიშვილის, კონსტრუქტორ დავით ქაჯაიას და მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის სახელები ვის არ გაუგია? მაინტერესებს, ვინ იქნება ის მამაცი, რომელიც ყველა ამ სიბეცეს ერთდროულად თავის თავში აღიარებს?! რატომღაც მგონია, რომ მხოლოდ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ფანტაზია, ინტელექტი ამას არ ეყოფოდა. არ შეიძლება, რომ ერთ ადამიანში, თუნდაც გამონათქვამ "ბახმაროს" ავტორში, ამდენი, რბილად რომ ვთქვათ, სისუსტე ერთად ბუდობდეს.

**Город дураков** ხომ არ არის ეს თბილისი?! თუ ზაფხულში ყინულზე "ბახმაროში" უნდათ, რომ იძულებით გვასრიალონ, მაშინ ბარემ ზამთარში ერთი ხელოვნური ბალახის ყვავილებიანი მინდორიც გაგვიკეთონ და იქ პეპლები გვაჭერინონ, თანაც სასურველია ან ოპერის, ან პარლამენტის, ან "იმელის" შენობის ფასადის წინ.



გაზაფხულდა და თბილისის პატარ-პატარა "იტალიურ" ეზოებში, სახლის წინამდებარე ქუჩის ნაწილში, საკუთარ ბაღებში, აივნებზეც კი მოსახლეობამ ვენახის, ხეების, დეკორატიული ბუჩქების შეჭრა-გასხვლა დაიწყო. ასეა ზანდუკელის ქუჩაზეც, სადაც მე ვცხოვრობ. მეც და ჩემი მეზობლებიც ჩვენ-ჩვენ საკუთარ ეზოებს, ბაღებს ვალაგებთ, გლიცინიის ან რომელიმე სხვა ხვიარა მცენარეების, ხეების ტოტებს ვჭრით, ვენახს ვსხლავთ და მოჭრილს კი, ჩვენი მოსაზრებით სრულიად ლოგიკურად, ნაგვის ბუნკერთან ვაწყობთ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩვენი და მენაგვეების ლოგიკა ერთმანეთს კატეგორიულად არ ემთხვევა.

მერიამ ეგება გვასწავლოს, რა ვქნათ? ნაგვის მანქანას რომელ საათზე, რომელ მოსახვევში ჩავუსაფრდეთ, ზედმეტი როგორ და რამდენი გადავუხადოთ? გაზაფხულზე ასე ბუნებრივად მოჭრილი ტოტების წაღებაზე როგორ დავითანხმოთ? თორემ აგერ უკვე სამი კვირაა, ნაგავს ყრიან, ვაზს, ხის ტოტებს კი თაკილობენ. აშკარაა, რომ მენაგვეებს მხოლოდ მათთვის გასაგები მენტალიტეტი აქვთ, რომლის მიხედვით ტოტების გადაყრა განსაკუთრებულ "გრეხად" ითვლება. ისე კი უცნაურია - ნაგავს აღარ სჯობია?!



მოკლედ

## კაპელო ინგლისის ნაკრებზე ოცნებობს

ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს ინგლისის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. შეგახსენებთ, რომ კაპელოზე "მილანი", "რეალი", "რომა" და კიდევ რამდენიმე იტალიური კლუბი აცხადებს პრეტენზიას. ინგლისელები კი ეძებენ სვენ-გორან ერიქსონის შემცვლელს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვებს პოსტს. ინგლისელებს სურთ ნაკრების სათავეში ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი იხილონ, მაგრამ კაპელოს კანდიდატურა უფრო სავარაუდოა.

## კირკლენდი გერმანიაში ვერ წავა

ინგლისის "ვესტ ბრომვიჩის" მეკარემ კრის კირკლენდმა თითი მოიტეხა და, სავარაუდოდ, ვერ გაემგზავრება გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე. ფეხბურთელი დაახლოებით თვენახევარს გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონი მისთვის პრაქტიკულად დასრულდა. როგორც ჩანს, გერმანიაში ინგლისის ნაკრების მესამე მეკარე "ბორვიჩის" გოლკიპერი რობერტ გრინი იქნება.

## "ჩელსი" "ლივერპულს" შეხვდება

გაიმართა ინგლისის თასის ნახევარფინალების კენჭისყრა. ქვეყნის ჩემპიონი ლონდონის "ჩელსი" "ლივერპულს" დაუპირისპირდება, ხოლო "ჩარლტონ"-"მიდლსბროს" შორის გამარჯვებული "ვესტ ჰემს" შეხვდება.

## ნევილი ისტორიაში შევა

კვირას გარი ნევილი თავის მე-500 მატჩს გამართავს "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში. ის მხოლოდ მერვე გახდება იმ ფეხბურთელთა შორის, ვინც სხვადასხვა წლებში ამ ნიშნულს მიაღწია. მანამდე 500-მატჩიანი ზღვარი გადალახეს ბობი ჩარლტონმა (754), ბილ ფალკსმა (688), რაიან გიგზმა (663), ალექს სტეპნიმ (546), ტონი დანიმ (540), დენის ირვინმა (527) და ჯო სპენსმა (514). ნევილმა მთელი თავისი კარიერა "მანჩესტერში" გაატარა. მისი დებიუტი შედგა 13 წლის წინათ უეფას თასის მატჩში, როცა "მანჩესტერ იუნაიტედი" მოსკოვის "ტორპედოს" შეხვდა. ამ მატჩში მან მხოლოდ 3 წუთი ითამაშა და ბურთს ერთადერთხელ შეეხო, როცა აუტი მოაწოდა.

## კოლერი მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს

იან კოლერი, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ტრავმას მოირჩენს. დორტმუნდის "ბორუსიასა" და ჩეხეთის ნაკრების ფორვარდმა სექტემბერში მიიღო ტრავმა - მუხლის მყესები გაუწყდა. კოლერმა უკვე დაიწყო ვარჯიში გუნდთან ერთად. ვარაუდობენ, რომ მსოფლიო პირველობისთვის ის ფორმის აღდგენას მოასწრებს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფში ჩეხები აშშ-ს, განას და იტალიას შეხვდებიან.

## ლუშემბურგო არ ურევდა

ბრაზილიის "სანტოსის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ უარყო ხმები იმის შესახებ, რომ მას ერთმანეთში აერია მექსიკელი ძმები და ალდო დე ნიგრისის ნაცვლად გუნდში მისი ძმა ანტონიო მიიწვია. "თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ თქვენ იცით ყოველთვის ყველაფერი, - აღშფოთდა ვანდერლეი ლუშემბურგო, - მე რა, თქვენი აზრით, გავგიჟდი? არასოდეს დავუშვებდი იმას, რომ საჭირო ფეხბურთელის ნაცვლად კონტრაქტი სხვისთვის გამეფორმებინა. თქვენ, უბრალოდ, იდიოტი გგონივართ, ბიჭებო".

## "ბაიერნმა" შეიძლება 20 მილიონი დახარჯოს

მიუნხენის "ბაიერნი" ცდილობს შეიძინოს "ბარსელონას" ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი. "როგორც ფეხბურთელი, ძალიან გვესიმპათიურება. ის არც 10 ნომერია, არც პლეიმეიკერი და არც ფორვარდი, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს, მაგრამ ის უმაღლესი დონის ნახევარმცველია და შესანიშნავი ხასიათითაც გამოირჩევა", - კლუბის საიტს განუცხადა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

28 წლის ფეხბურთელი "ბარსელონაში" მხოლოდ ამ ზაფხულს გადავიდა. რაიკაარდს ძალიან უნდოდა ის თავის გუნდში ეხილა. ამის მიუხედავად, გერმანული კლუბი სერიოზულად არის განწყობილი. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას შევძლებთ. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი გვაქვს", - განაგრძო რუმენიგემ.

ამას გარდა, "ბაიერნის" ბოსმა განაცხადა, რომ კლუბს სურს ბრემენის "ვერდერის" ფეხბურთელი ტიმ ბოროვსკი იხილოს. და, საერთოდ, ახალი ფეხბურთელების შესაძენად სატრანსფერო ბაზარზე წელს "ბაიერნი" დაახლოებით 20 მილიონ ევროს დახარჯავს. "ჩვენ არ შეგვიძლია ფეხბურთელთა შესაძენად 50 მილიონი დავხარჯოთ, მაგრამ 20 მილიონის გაღება ბიუჯეტიდან ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება", - დაასკვნა რუმენიგემ.

## პენალტებს აღარ დავარტყამ!

ფლორენციის "ფიორენტინას" ფორვარდმა და იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ლუკა ტონიმ განაცხადა, რომ დროებით თავს დაანებებს პენალტების დარტყმას. ასეთი გადაწყვეტილება ფეხბურთელმა მას შემდეგ მიიღო, რაც ვერ გამოიყენა "კალიერის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა. მატჩი კი ფრედ - 0:0 დამთავრდა. ტონის ანგარიშზე 24 გატანილი გოლია. ამათგან ორი სწორედ პენალტით გაიტანა.

"ჩემმა უზუსტო დარტყმამ გამაოცა, - ამბობს ტონი, - მე გადავწყვიტე, რომ პენალტი ჩემმა რომელიმე თანაგუნდელმა უნდა შეასრულოს და ამის შესახებ გუნდელებს შევატყობინე კიდეც. რა თქმა უნდა, ეს დროებითი ღონისძიებაა. პენალტებს კიდევ დავარტყამ, ოღონდ ახლა არა".

გამოუყენებელი პენალტის მიუხედავად, "ფიორენტინას" მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ განაცხადა, რომ ლუკა ტონის ყოველთვის შეუძლია თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის შესრულება, ხოლო თუ ის ამ მისიის შესრულებაზე უარს იტყვის, მაშინ პენალტის ნიშნულთან სტეფანო ფიორეს შეუძლია მივიდეს.

## "სელტამ" ფეხბურთელი დაკარგა

ესპანეთის "სელტამ" კიდევ ერთი დანაკარგი განიცადა. სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს გუნდის ფორვარდი ხავი გერერო. ფეხბურთელმა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში ვიტორიას "ალავესის" წინააღმდეგ ფეხი მოიტეხა. ექიმები იმედოვნებენ, რომ გერეროს ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ შემოდგომამდე მინდორზე მისი გამოსვლა სრულიად გამორიცხულია.

## იაპონიის გრან-პრი ადგილს შეიცვლის

იაპონიის გრან-პრის Fuji Speedway-ის ავტოდრომი უმასპინძლებს. გრან-პრი მომავალ სეზონში გადავა. ამჟამად რბოლები Suzuka International Racing Circuit-ის ავტოდრომზე იმართება. ამ სეზონის გრან-პრი 8 ოქტომბერს გაიმართება. ავტოდრომის კონტრაქტი 2006 წელს იწურება.

ფეხბურთი

# ლენარტ იუჰანსონმა G-14 გააკრიტიკა

23 მარტს ბუდაპეშტში მიმდინარე უეფას კონგრესზე ამ ორგანიზაციაში შემავალი ეროვნული ასოციაციების ხელმძღვანელებმა ევროპულ ფეხბურთში მცირე ხნის წინ მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით მიიღეს სპეციალური რეზოლუცია. იგი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა უეფას პრინციპები და პოზიცია, კლუბების დამოკიდებულება მათი ფეხბურთელების ეროვნულ ნაკრებ გუნდებში გაშვების ვალდებულებასთან დაკავშირებით, სოლიდარობა და სპორტული იდეალები ევროპულ ფეხბურთში.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა მკაცრად გააკრიტიკა მდიდარი კლუბების თვითგამოცხადებული ჯგუფის G-14-ის ფილოსოფია. იუჰანსონის თქმით, ეს ჯგუფი "მხოლოდ მეტი ფულის მიღებას ცდილობს, თანაც ისე, რომ სულ არ აღელვებს ფეხბურთი და მისი გულშემატკივრები". უეფას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ "რეზოლუცია ნათელი და მძლავრი სიგნალი უნდა გახდეს მათთვის, ვინც ფეხბურთს საფრთხეს უქმნის."



ლენარტ იუჰანსონი: "G-14-ს შეუძლია თავისი გზით წავიდეს".

**რეზოლუცია კი ასეთია:**

1. ფეხბურთი მუდმივად ვითარდება და ახალ გამოწვევებთან ადაპტირდება. უეფას საკვანძო ფუნქციაა მონახოს პასუხები ამ გამოწვევებზე და მოძებნოს გადაწყვეტილებები, რომელიც მომავალზე იქნება გათვლილი, ამასთან, წარსულს და სპორტის ტრადიციებს არ შეეწინააღმდეგება. მომავალზე ფიქრისას ძირითადი პრინციპები და პოსტულატები არ უნდა მიეცეს დავიწყებას.

2. ფეხბურთის არსია პატიოსნება, შემთხვევა, ემოცია და მრავალფეროვნება. ეს არ არის დახურული კლუბი, სადაც მაგიდასთან მხოლოდ ყველაზე მდიდრებს და ძლიერებს იწვევენ. უეფა ვერ აიტანს სტრუქტურას ან სისტემას, რომლის დროსაც პატარა ქვეყნები და კლუბები, ასევე მათი გულშემატკივრები ვერასოდეს მიიღებენ შანსს საკუთარი ოცნება რეალობად აქციონ. ეს არ შეესაბამება ევროპის სულისკვეთებას, უეფას სულისკვეთებას, ფეხბურთის სულისკვეთებას.

3. ეს პრინციპები რეალობას ასახავენ. რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთი მხოლოდ ფულის შოვნის საშუალება არ არის, მხოლოდ ბიზნესი არ არის. ჩვენ გვაქვს წესები და პრინციპები, რომლებიც ასახავენ ჩვენს ღირებულებებს და იცავენ ჩვენი სპორტის სახეობის ინტერესებს, განსაკუთრებით კი მილიონობით გულშემატკივრის ინტერესებს, რომლებიც ფეხბურთით ცხოვრობენ. ამ ძირითად პრინციპებს შორის არის წესი იმის შესახებ, რომ კლუბებმა ფეხბურთელი უნდა გაუშვან ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩებზე.

4. რატომ არსებობს ასეთი წესები? იმისთვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ, ეროვნული ნაკრები გუნდები შედგენილია ამა თუ იმ ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელებით. მეტიც: ეს წესი თითოეულ ფეხბურთელს იმის საშუალებას აძლევს, რომ დაიცვას საკუთარი ქვეყნის ღირსება, რაც, ნებისმიერი ფეხბურთელის აზრით, უდიდესი პატივია. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ერებს, განსაკუთრებით კი პატარა ერებს შეუძლიათ კონკურენციის გაწევა, შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეთ გამარჯვებაზე და შეუძლიათ თვით ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. შესაძლოა, გამარჯვების შანსი მცირეა, მაგრამ ასეთი შანსი მაინც არსებობს.

5. კლუბების თვითგამოცხადებული ჯგუფი ამ წესის მართებულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მათ არ აღელვებთ შეჯიბრებების დაცვა. მათ მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვა და სხვათათვის საკუთარი პირობების კარნახი აღელვებთ. კლუბების ამ ჯგუფს სულაც არ ადარდებს, რომ ასეთ შემთხვევაში ნაციონალურ ნაკრებ გუნდებს და კლუბებს შორის კონკურენციის დონე დაეცემა. მაგრამ ეს აღელვებს უეფას. ამიტომაც ვაპირებთ ამ წესების დაცვას და ფიფასთან ერთად ამ მიზნის მიღწევისთვის ვიმუშავებთ.

6. უეფა ასევე დაიცავს ჩემპიონთა ლიგის ცენტრალურ მარკეტინგულ სტრუქტურას. ისევე როგორც ფეხბურთელების უფლებას, ითამაშონ საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. ეს სისტემა ევროპულ ფეხბურთში სოლიდარობის პრინციპების საკეთილდღეოდ მუშაობს. ჩვენ პატარა ქვეყნების კლუბებს ვუტოვებთ შესაძლებლობას ითამაშონ ევროპული საკლუბო ტურნირების უმაღლეს დონეზე. ჩვენ არ დავკეტავთ ამ კარს, როგორც ეს კლუბების თვითგამოცხადებულ ჯგუფს სურს.

7. უეფა გზაზე არ გადაეღობება მათ, ვისთვისაც ჩვენი სპორტული ღირებულებები არაფერს ნიშნავს და ვისაც ევროპული საფეხბურთო ოჯახის დატოვება სურს - ეს კი თავისთავად ეროვნული შეჯიბრებიდან გამოთიშვასაც ნიშნავს. "მუსიკის შეკვეთის" უფლება არავის აქვს. ჩვენ აუცილებლად დავიცავთ ჩვენს წესებს და პრინციპებს. შესაძლოა, ჩვენი სტრუქტურა შეიცვალოს, მაგრამ ძირითადი პრინციპები ხელშეუხებელია. ამ ფუნდამენტურ საკითხთან დაკავშირებით ყველა ეროვნული ასოციაცია იზიარებს უეფას პოზიციას. ეროვნულმა ასოციაციებმა ერთად უნდა დაიცვან უეფას ფილოსოფია და თანასწორობის, სოლიდარობის, გახსნილობის პრინციპები.

# ჰიდინკს 9 ივლისს გაათავისუფლებენ

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, "ეინდჰოვენის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა განაცხადა: სეზონის ბოლოს კლუბიდან მივდივარ, მაგრამ სად გავაგრძელებ სამწვრთნელო მოღვაწეობას, ამას ჯერ არ ვიტყვიო.

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი სპეციალისტის გადაბირება სურთ ინგლისისა და რუსეთის ნაკრებებს: "ვიცი, რომ ასეთი ხმები ფართოდ გავრცელდა, მაგრამ იცოდეთ, რომ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მოდით, იმ დროს დაველოდოთ, როდესაც ხელშეკრულებაზე მოვაწერ ხელს".

არადა, ერთნი ირწმუნებოდნენ, ჰიდინკის რუსეთის ნაკრებში მოსვლა გადაწყვეტილიაო. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ პირობაც დადო, ცოტა მაცალეთ და მწვრთნელის ვინაობას შეიტყობთო. ამბობდნენ, მუტკო გუს ჰიდინკს გულისხმობსო. დრო კი მიდიოდა, რასაც თან არ ახლდა არანაირი ოფიციალური განცხადებები. მეტიც, თავად ჰოლანდიელმაც განაცხადა, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია და არც რაიმე



ჰიდინკი "ეინდჰოვენს" დატოვებს.

კონტრაქტზე მომიწერია ხელიო.

ამასობაში ჰიდინკის ამგვარი განცხადებით ფრთაშესხმული ინგლისელებიც, რომლებიც მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩებიან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, აფორიაქდნენ.

ჰოლანდიელი სპეციალისტი მსოფლიო დონის მწვრთნელია და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უმუშევრად რომ არ დარჩება, აშკარა. მით უმეტეს, რომ იმავე ჩემპიონატზე საასპარეზოდ გაუძღვება ავსტრალიის ნაკრებს. ბუნებრივია, ჰიდინკის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟით პსვ-ს ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა და კლუბის მწვრთნელს მარტის ბოლომდე საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ერთხელ და სამუდამოდ გარკვევა მოსთხოვა. ხაზი გაესვა იმასაც, რომ პსვ ჰიდინკის დაკავებას არ აპირებს. ჰოლანდიელთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე არც ავსტრალიელები იკლავენ თავს. ასე რომ, 9 ივლისს გუს ჰიდინკი ჩიტივით თავისუფალი იქნება.

ინფოთეკა

## რონალდინიო "მალაგასთან" არ ითამაშებს

"ბარსელონას" ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდინიო არ ითამაშებს კვირას ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში "მალაგას" წინააღმდეგ. გუნდის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა გადაწყვიტა ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის წინ დაასვენოს.

## ოთხი ფიორენტინელი დოპინგმა იმსხვერპლა

"ფიორეტინას" ყოფილი მოთამაშის პერ ლონგონის სიკვდილმა ახალი ეჭვები აღძრა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებსაც წარსულში ფლორენციულ კლუბში მოთამაშე ფეხბურთელებთან მივყავართ, დოპინგით ყოფილა გამოწვეული.

პოპულარული იტალიური სპორტული გამოცემის "Gazzetta dello Sport"-ის ექსპერტთა აზრით, სიკვდილის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო პრეპარატების Cortex და Micoren-ის გამოყენება, რომლებსაც "ფიორენტინას" სამედიცინო შტაბში მოთამაშეებს აძლევდნენ.

ბოლო 19 წლის განმავლობაში ლონგონის ბედი გაიზიარა კლუბის კიდევ სამმა ფეხბურთელმა. ამბობენ, შესაძლოა, მათი სიკვდილის მიზეზიც დოპინგის მოხმარება იყოსო.

1987 წელს 39 წლის ასაკში ლეიკემიისგან გარდაიცვალა ბრუნო ბეატრიჩე, 2003 წელს გულის შეტევით დაიღუპა 59 წლის ნელო სალტუტი, ხოლო 2004 წლის ნოემბერში კიბომ შეიწირა 59 უგო ფერანტე. გარდა ამისა, "ფიორენტინას" კიდევ რამდენიმე ყოფილი მოთამაშეა დაავადებული, რომლის მიზეზიც ასევე შეიძლება იყოს ხსენებული პრეპარატების გამოყენება.

იტალიური გამოცემის მოსაზრება ნაწილობრივ მტკიცდება ლონგონის მეუღლის სიტყვებითაც: "ზუსტად არ ვიცი ჩემი ქმრის სიკვდილის მიზეზი. როგორც მითხრეს, სიკვდილსა და ფეხბურთს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. არავის ვადანაშაულებ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ყოფილ მოთამაშეთა ავადმყოფობები უჩვეულოდ ემთხვევა ერთმანეთს".

## შუმახერთა დინასტია სამამდე გაიზარდა

შუმახერთა დინასტიას მესამე პილოტი შეემატა. "ტოიოტას" პილოტის რალფ შუმახერის მეუღლე კორა შუმახერი ყოველთვის სიამოვნებით დააქროლებდა მანქანას. არც მოყვარულთა შორის შეჯიბრება იყო მისთვის უცხო. ჰოდა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა მოყვარულის სტატუსი პროფესიულით შეეცვალა. ერთი სიტყვით, მეუღლის კვალს გაყვა.

ახლახან 29 წლის ქერა ლამაზმანმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვით გერმანელი ქალბატონი მონაწილეობას მიიღებს Seat Leon Supercopa-ს თასზე. ტურნირი DTM-ის ჩემპიონატის ფარგლებში თამაშდება. მანქანა, რომლის საჭესაც უნდა მიუჯდეს კორა შუმახერი, საათში 260 კილომეტრს ავითარებს.

არაოფიციალური ინფორმაციით, შუმახერთა დინასტიის მესამე წარმომადგენელი სეზონში 500 ათას ევროს მიიღებს. ეს თანხა რალფის მეუღლეს ყველაზე მაღალანაზღაურებად გერმანელ ავტომრბოლთა შორის გაამწესებს. ქალბატონის ხელფასი კი ფორმულა 1-ის ზოგიერთი მრბოლისთვისაც სასურველია. მაგალითად, უილიამსელი ნიკო როსბერგი, რომლის დებიუტი "სამეფო რბოლებში" წლეულს შედგა, წელიწადში 420 ათას დოლარს მიიღებს.

"მიხარია, რომ კონტრაქტი გავაფორმე. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მე იმაზე ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე უბრალოდ აქსელერატორზე ფეხის დაჭერაა".

კორას ფულის უაზროდ ფლანგვა კი არა, შეგროვება განუზრახავს, რადგან ძალიან უნდა ერთხელ მეუღლესა და შვილს საკუთარი ფულითაც უყიდოს საჩუქრები.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს ვეტერანთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელზეც უნდა იყოს ვეტერანის პირადი სურათი, პირადი ათნიშნა კოდი მოწმობის ორივე მხარეს, მოწმობას უნდა ჰქონდეს ინფორმაციული მაგნიტური ლენტა, პირადი შტრიხკოდი, ულტრაიისფერი დამცავი მექანიზმი, კოპირების საწინააღმდეგო საღებავი, პენეტრირებადი საღებავი. მოწმობა უნდა დამზადდეს წყლისნიშნიან ექსკლუზიურ ქაღალდზე.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

მიწოდების სასურველი ვადაა სახელმწიფო ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 მაისამდე.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა დამიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ და სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 აპრილიდან 5 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №28, V სართული, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი. სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე: ვეტარანთა საქმეების დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის № 200122900, საიდენტიფიკაციო კოდი 202054659, მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №28, V სართული. სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, ერთ დახურულ კონვერტში, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად.

პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას 2006 წლის 20 აპრილიდან 21 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის №28, V სართული, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობას საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან);

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 18 აპრილს 15 საათზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის №28, V სართული, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი. ტელ. 99-57-60, 98-99-30.

**სატენდერო კომისია**

# "ტრანსიშნ" - ფრთიანი ავტომობილი, თუ საგზაო თვითმფრინავი?





მერაბ ლორთქიფანიძე

დიდი ხანია, კონსტრუქტორები ცდილობენ ისეთი ავტომობილის შექმნას, რომელსაც იმავდროულად, ფრენის უნარიც ექნება. ან ისეთი თვითმფრინავის შექმნას, რომელიც უპრობლემოდ იმოძრავებს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე.

მცდელობა რამდენიც გინდათ, იმდენი იყო, მაგრამ რეალური შედეგისთვის თითქმის არავის მიუღწევია. თითო-ოროლა საცდელი ეგზემპლარი ბევრს დაუმზადებია, მაგრამ ფართო გამოყენება ჯერ ამგვარ კონსტრუქციებს არ აქვთ.

შესაძლოა, ამ საქმეში, გარკვეული გარდატეხა არცთუ შორეულ მომავალში მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) გამოსაშვები პროგრამა "ლემელსონ-MIT-ის" დირექტორი მერტონ ფლემინგსი, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ამავე ინსტიტუტის აერონავტიკისა და ასტრონავტიკის კურსდამთავრებულ კარლ დიტრიხის სადიპლომო ნამუშევარს.

დიტრიხის გამოსაშვები ნამუშევარი პროგრამა "ლემელსონ-MIT-ის" ჟიურიმ უმაღლესი ნიშნით შეაფასა. მასვე გადაეცა (გამორჩეული ინოვაციისთვის) ამავე პროგრამის გამარჯვებულისთვის გათვალისწინებული 30-ათასდოლარიანი ჯილდო.

ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ დიტრიხი ჯილდოვდება გამოგონებათა მთელი პორტფელისთვის, რომელშიც შედის სინთეზის სამაგიდო რეაქტორი, იაფფასიანი სარაკეტო ძრავა და პერსონალური საჰაერო სატრანსპორტო საშუალება.

სხვათა შორის, თავად დიტრიხმა თავის გამოგონებათა სარეალიზაციოდ ჩამოაყალიბა საკუთარი კომპანია სახელად "ტერაფუჯა" (ტერაფუჯა ლათინურად ხმელეთიდან გაქცევას, ხმელეთისგან მოწყვეტას ნიშნავს), რომელიც იქვე, კემბრიჯის მახლობლადაა ბაზირებული. კომპანიის შტატში შევიდა იმავე ინსტიტუტის აერონავტიკის განყოფილების კიდევ რამდენიმე კურსდამთავრებული.

კომპანიამ შექმნა დიტრიხის მიერ დაპროექტებული მფრინავი ავტომობილის (ან თუ გნებავთ, მოსიარულე თვითმფრინავის) პროექტი, რომელსაც სახელად "ტრანსიშნ" (გადასვლა) შეარქვეს. მისი ავტორების ჩანაფიქრით, ამ აპარატით შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ გზებზე მოძრაობა. იმავდროულად, ის იფრენს დაახლოებით იმავე სიჩქარით, რასაც ავითარებენ თანამედროვე სპორტული თვითმფრინავები. რაც მთავარია, "ტრანსიშნ" მცირეგაბარიტიანია და ის თავისუფლად მოთავსდება სტანდარტულ ავტოფარეხში.

აპარატის დანიშნულებაა ქალაქებს შორის, 150-800 კილომეტრზე მგზავრთა თავისუფალი, სწრაფი და რაც მთავარია, უსაფრთხო გადაყვანა. სხვათა შორის, კონცეპტუალურად "ტრანსიშნი" ძალიან ჰგავს მის წინამორბედ მფრინავ ავტომობილებს - "სკაიბლაიზერს", "ტაილფანსსა" და სხვებს.

"ტრანსიშნის" ფრთები ავტომატურად იკეცება. მას აქვს კუდში მოთავსებული საჰაერო ხრახნი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს 100-ცხენისძალიან საავიაციო ძრავს. დაკეცილი ფრთებით ამ მანქანას თავისუფლად შეუძლია საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე გადაადგილება. ამ შემთხვევაში, სპეციალური გადაბმულობის გათიშვით, ძრავის ლილვი სცილდება საჰაერო ხრახნს და უკავშირდება წამყვან თვლებს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ აპარატს ასაფრენად მცირე გაქანება ესაჭიროება.

თუმცა, ამის მიუხედავად, პროექტის ავტორები იმის რეკომენდაციას არ იძლევიან, რომ "ტრანსიშნის" მფლობელმა აფრენა/დაჯდომა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე განახორციელოს. ამის მიზეზი კი უსაფრთხოების ნორმებია. უნდა ითქვას, რომ აშშ-ის მცხოვრებთათვის ეს გარემოება ვერ გახდება პრობლემა - ამ ქვეყანაში ხომ ხუთ ათასზე მეტი მცირე ზომის აეროდრომია რგსტრირებული.

პროექტის მიხედვით, ამ უცნაური საფრენი აპარატის წონა 599 კილოგრამია. ამასთან, მას 195 კილო (ორი ადამიანი და მცირე ბარგი) სასარგებლო ტვირთის ტარება შეუძლია. "ტრანსიშნის" კრეისერული სიჩქარეა 193 კმ/სთ, მაქსიმალური კი - 217 კმ/სთ, ფრთების გაშლა 8,25 მეტრია, დაკეცილი ფრთებით მანქანის სიგანე კი - ორი მეტრი. მფრინავ ავტომობილს ასაფრენად 456 მეტრის გარბენი ესაჭიროება.

"ტრანსიშნის" საწვავის ავზის მოცულობა 76 ლიტრია. პროექტის ავტორთა მიერ ჩატარებჭული გათვლების მიხედვით, ფრენის დროს, საწვავის ხარჯი საათში სულ რაღაც 15 ლიტრი იქნება. საავტომობილო საზომებით კი - 7,84 ლიტრი ყოველ ას კილომეტრზე. სხვათა შორის, დაახლოებით იგივე ხარჯი ექნება აპარატს საქალაქო ციკლით (ბუნებრივია, როცა ის ავტომობილად გარდაიქმნება) გადაადგილებისას. სამაგიეროდ, მაგისტრალზე მოძრაობისას, ხარჯი ყოველ ას კილომეტრზე 5,88 ლიტრამდე მცირდება. პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ ერთი სავსე ავზით "ტრანსიშნს" შეუძლია დაახლოებით 1.2 ათასი კილომეტრზე ფრენა.

დიტრიხის აპარატში გათვალისწინებულია პასიური უსაფრთხოების ნორმებიც - კონსტრუქცია მძლავრი ჩარჩოთი და უსაფრთხოების ბალიშებითაა დაცული. პასიური უსაფრთხოების მხრივ, "ტრანსიშნი" შეესაბამება მსუბუქი ავტომობილებისათვის განსაზღვრულ ევროპულ ნორმებს.

კომპანია "ტერაფუჯას" შემქმნელებმა კარგად იციან, რომ მფრინავ ავტომობილებს ორი ძირითადი ნაკლი აქვთ - ისინი ერთდროულად არიან ცუდი ავტომობილებიცა და ცუდი თვითმფრინავებიც. სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ასეთმა ჰიბრიდულმა აპარატებმა ჯერაც ვერ მოიპოვეს პოპულარობა პოტენციურ მყიდველთა შორის. თუმცა, კომპანიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარ აპარატებზე მოთხოვნა ჯერაც არაა იმდენად მაღალი, რომ ამას მოჰყვეს ამ ტიპის მანქანების წარმოების ტექნოლოგიის დახვეწა.

მაშ, რისთვის დასჭირდათ დიტრიხსა და მის პარტნიორებს "ტრანსიშნის" დაპროექტება? რატომ და ისინი თვლიან, რომ სწორედ ახლა დგება მფრინავი ავტომობილების დრო! მითუმეტეს, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, აშშ-ში გამარტივდა მსუბუქი, სპორტული თვითმფრინავის პილოტის ლიცენზიის აღების პროცესი - ამგვარი ლიცენზია აუცილებლად დასჭირდება "ტრანსიშნის" მფლობელს. კერძოდ, შემცირდა მოთხოვნა ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი საათების რაოდენობაზე. საინტერესოა, რომ ფრენის სწავლის გაკვეთილების ღირებულება "ტრანსიშნის" ღირებულებაში შევა.

რაც შეეხება მცირე თვითმფრინავებზე მოთხოვნის ზრდას: უსაფრთხოების ნორმების გამკაცრების გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმფრინავით მგზავრობის საერთო ხანგრძლივობა. პარალელურად, იზრდება მოთხოვნილება კერძო თვითმფრინავებზე. თუმცა, ამათი შენახვაც გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. ჰოდა, ასეთ სიტუაციაში მისწრება იქნებოდა მფრინავი ავტომობილების არსებობა...

იმავდროულად, "ტერაფუჯაში" აცხადებენ, რომ მათ პროექტში გამოიყენეს არამხოლოდ ტექნიკურად კარგად გააზრებული გადაწყვეტები და პროექტირების ულტრათანამედროვე მეთოდები, არამედ მათ ყველაფერი იღონეს საბოლოო პროდუქტის ღირებულების შემცირებაზეც. მათი გათვლებით, წარმოების დაწყების შემთხვევაში, "ტრანსიშნის" ღირებულება არ ასცდება 148 ათას აშშ დოლარს.

იმავდროულად, პროექტის ავტორები არ აპირებენ ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალების ნაკლოვანებათა დაფარვას. პირიქით, ისინი ამ ნაკლოვანებათა შესახებ სარეკლამო რგოლებში მოყვებიან. "ასე ჩვენს კლიენტებს ეცოდინებათ, რა სიურპრიზებს უნდა ელოდონ "ტრანსიშნისგან". ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი მანქანის ნაკლები მათ ექსპლუატაციის დროს გამოავლინონ", - ამბობს დიტრიხი.

"ტერაფუჯას" დაგეგმილი აქვს თავისი პროექტის მიხედვით შექმნილი სრულმასშტაბიანი მაკეტის წარდგენა ექსპერიმენტული საფრენი აპარატების საერთაშორისო შოუზე, რომელსაც 24-30 ივლისს უმასპინძლებს შტატ ვისკონსინში მდებარე ქალაქ ოშკოშის საავიაციო პოლიგონი. რეალური აპარატის დამზადებას კი კომპანია 2008-2010 წლებში აპირებს. სავარაუდოდ, მაშინვე დაიწყება პროდუქციის რეალიზაციაც.

## მოკლედ

### ამერიკელებმა საწარმოო ნანოქსოვილი შექმნეს

ტექსასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებსაც პროფესორი რეი ბაუმანი ხელმძღვანელობს, შექმნეს ნახშირბადოვანი ნანოქსოვილი (ნანო - მეტრის მემილიარდე ნაწილი, სისქის მანიშნებელია), რომლის წარმოებაც უკვე შესაძლებელია. წარმოიდგინეთ გამჭვირვალე ქსოვილი, რომელზეც წყლის წვეთი დევს. კვადრატული სანტიმეტრის ფართის ნანოქსოვილი თითქმის 50 ათასჯერ უფრო მსუბუქია ამ წვეთზე. ცნობისათვის, ამ ქსოვილის სისქე მხოლოდ რამდენიმე ნანომილაკია (რამდენიმე ათეული ატომი).

ამ ტიპის ქსოვილი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ტანსაცმლის წარმოებისას, აეროკოსმოსურ და ავტოინდუსტრიაში, როგორც ფოტოგალვანური ელემენტი, ორგანული შუქ-დიოდი, დრეკადი ტელეეკრანი და სხვა. ის მეტად მტკიცეა და ამ მხრივ, გაცილებით სჯობს მაილარსა და კევლარს, რომლებიც უკვე ფართოდ დაინერგა სხვადასხვა სფეროში. ქსოვილი კარგად შთანთქავს მიკროტალღურ სხივებს, რაც მის გახურებას იწვევს. ამდენად, ნანქსოვილის გამოყენება მიზანშეწონილია ავტომობილის წინა და უკანა საქარე მინების წარმოებაში - ის მზის სხივებით გათბება, რითაც გამორიცხავს შუშის დაორთქვლას. რაც მთავარია, ტექსასელებმა ამ ქსოვილის მასობრივი წარმოების ტექნოლოგიაც კი შეიმუშავეს. ამ ტექნოლოგიით შესაძლებელია წუთში 7 მეტრი სიგრძის ნანოქსოვილის დამზადება.

### საფრანგეთი ნავთობის მოხმარებას ამცირებს



საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა გამოაცხადა, რომ ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირებას და ამისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. უფრო მეტიც, ის ირწმუნება, რომ 2020 წლიდან საფრანგეთში მატარებლები მხოლოდ ელექტროენერგიაზე იმუშავებენ. იმავდროულად, ფრანგი ენერგეტიკოსები ელექტროენერგიის წარმოებაში უპირატესობას ატომური ენერგიის გამოყენებას ანიჭებენ. ფრანგებმა ატომური ენერგიის ინტენსიური გამოყენება გასული საუკუნის 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის დროს დაიწყეს. ქვეყანას მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია ელექტროენერგეტიკაში ატომური სადგურების წილის მიხედვით. ნავთობის მიმწოდებლებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, იმ კრიზისის შემდეგ საფრანგეთში 58 ბირთვული რეაქტორი აშენდა და რაც მთავარია, მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება. 2020 წლიდან მწყობრში ჩადგება ახალი, მეოთხე თაობის ბირთვული რეაქტორი, რომელზეც შირაკი დიდ იმედებს ამყარებს. გარდა ამისა, იმავდროულად მოსალოდნელია კადარაშის ექსპერიმენტული თერმობირთვული რეაქტორის მშენებლობის დასრულებაც. ამ რეაქტორის მშენებლობის ადგილი მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ახლახან აირჩიეს და ისინი იმედოვნებენ, რომ თერმობირთვული რაქციის "მოთვინიერებით" ისინი საბოლოოდ გადაწყვეტენ ელექტროენერგიის დეფიციტის პრობლემას.

ყველაფერთან ერთად, შირაკი აცხადებს, რომ საფრანგეთს აქცენტი გადააქვს ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების გამოყენებაზე. კერძოდ, ქვეყანაში აშენდება მზის და ქარის ელექტროსადგურები, ავტოპარკში კი მნიშვნელოვნად გაიზრდება ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობა. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში დაახლოებით ხუთჯერ უნდა გაიზარდოს ბიოსაწვავის წარმოების მოცულობა. 2012 წლიდან მწყობრში ჩადგება ეგრეთ წოდებული დაჭირხნული წყლის რეაქტორი, რომლის საპროექტო სიმძლავრე 1600 მეგავატია. სხვათა შორის, ეს იქნება მესამე თაობის რეაქტორი. აღსანიშნავია, რომ 1993 წლიდან მოყოლებული, საფრანგეთში დიდი ელექტროსადგური არ აშენებულა. ეს იმ დროს, როცა ძველები ცვდება და სულ უფრო მცირე რაოდენობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამასთან, განუხრელად იზრდება ქვეყნის მოთხოვნა ელექტროენერგიაზე. სხვათა შორის, დაჭირხნული წყლის რეაქტორების მშენებლობით იტალიაცაა დაინტერესებული. ორი მეზობელი ქვეყანა ერთობლივად აპირებს აღნიშნული ელექტროსადგურის აშენებას. ოღონდ, მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა.

### ძაღლები რენტგენის ნაცვლად



კალიფორნიელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ გაწვრთნილ ძაღლებს ფილტვისა და მკერდის სიმსივნის ადრეულ სტადიაში აღმოჩენა შეუძლიათ. უფრო მეტიც, დიაგნოზის დასმაში ძაღლები კონკურენციასაც კი გაუწევენ ულტრათანამედროვე სადიაგნოზო საშუალებებს, როგორებიცაა მამოგრამები და რენტგენის სხივები. უკვე დიდი ხანია, დადგენილია, რომ კიბოთი დაავადებულ პაციენტები სუნთქვისას გაზრდილი რაოდენობით გამოყოფენ გარკვეულ ნივთიერებებს, როგორებიცაა ალკანები და ბენზენები. იმავდროულად დადგენილია, რომ ძაღლებს ყნოსვით შეუძლიათ ნივთიერებათა იმდენად მცირე კონცენტრაციის გარჩევა, როგორიცაა მაგალითად ტრილიონში რამდენიმე მოლეკულა. შტატ კალიფორნიაში მდებარე ქალაქ სან ანსელმოს "პაინ სტრიტის" ფონდის მკვლევარებმა თავიანთი ცდა მანამდე უვარჯიშებელ ლაბრადორებსა და პორტუგალიურ მეძებრებზე ჩაატარეს. რამდენიმეკვირიანი წვრთნის შემდეგ, ძაღლებს რამდენიმე ათეული ავადმყოფის ნასუნთქი გაასინჯეს.

ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა ფილტვისა და მკერდის სიმსივნით დაავადებული პაციენტების (შესაბამისად, 55 და 31), ასევე 83 ჯანმრთელი ადამიანის სინჯები. ყველა ავადმყოფის დიაგნოზი ბიოპსიით იყო დადასტურებული. ამასთან, სინჯები უწარწერო და დაფარულ სინჯარებში იყო მოთავსებული. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ძაღლებმა გამოიცნეს ფილტვისა სიმსივნით დაავადებულთა 99%. ჯანმრთელ ადამიანებში მათი შეცდომა მხოლოდ 1% იყო. მათვე 88%-იანი სიზუსტით გამოიცნეს მკერდის სიმსივნით დაავადებულები. ექსპერიმენტმა გაოცებულები დატოვა თავად მისი ჩამტარებლებიც და დამკვირვებლებიც. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრძნობის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა ჯეიმს უოკერმა განაცხადა, რომ კვლევის შემდეგ სტადიაზე შემოწმდება, ძაღლებს უშუალოდ სიმსივნის დაფიქსირება შეუძლიათ, თუ მხოლოდ ამ დაავადების თანმდევი ანთებითი პროცესების შედეგად გამოყოფილი ნივთიერებებისა.

# ცათამბჯენი მიწისძვრებს იწვევს

ტაივანელი გეოლოგები ვარაუდობენ, რომ ტაიპეიში მიწისძვრების რაოდენობა მას შემდეგ გახშირდა, რაც ამ ქალაქში მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენი, "ტაიპეი 101" აშენდა.

სინიკას აკადემიის გეოლოგი ლინ ჩენ-ჰუნი გვაუწყებს, რომ ჩვეულებრივ, ტაივანის დედაქალაქი ტაიპეი, სადაც დაახლოებით 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სეისმურად მშვიდ ადგილზეა გაშენებული, თუმცა თავად კუნძულზე მიწისძვრები იშვიათობას არ წარმოადგენს.

მაგრამ 1997 წლის შემდეგ, რაც იქ 508-მეტრიანი სუპერცათამბჯენის მშენებლობა დაიწყო, ქალაქში მიკრო მიწისძვრები (რიხტერის შკალით 2.0-2.5 მაგნიტუდა) გახშირდა. ამავე პერიოდში ქალაქში მოხდა ორი, ოდნავ უფრო ძლიერი მიწისძვრაც - 2004 წლის ოქტომბერში მომხდარის სიმძლავრე იყო 3.8 მაგნიტუდა, 2005 წლის მარტში მომხარისა კი - 3.2.

ჩენ-ჰუნი ვარაუდობს, რომ მიკრომიწისძვრების გახშირება შეიძლება ცათამბჯენის აშენებას გამოეწვია. მან გაიანგარიშა, რომ შენობა, რომელიც დაახლოებით 700 ათას ტონას იწონის, ფუნდამენტის ქვეშ 4,7 ბარის ტოლფას წნევას წარმოქმნის. ჰოდა, შესაძლოა, რომ ამ წნევის გარკვეული ნაწილი დედამიწის ქერქსაც აღწევდეს. მითუმეტეს, რომ ტაიპეი მეტად რბილ გრუნტზეა გაშენებული.

ზემოთხსენებული წნევა არც ისე დიდია, მაგრამ მას მაინც შეუძლია სიღრმისეული ტექტონიკური რღვევების გააქტიურება. ზეწოლის მუდმივად მოქმედება ქერქზე დაძაბულობას წარმოქმნის, რომელიც გარკვეულ ზღვარზე განიმუხტება და მიწისძვრას იწვევს.

ჩენ-ჰუნი ამბობს, მისი მოსაზრებანი შესწავლას საჭიროებს. იგი არ გამორიცხავს, რომ ტაპეის არეალის სეისმურ გააქტიურებას შეიძლება სულ სხვა მიზეზი ჰქონდეს. იგი კვლევის გაგრძელებას აპირებს. მითუმეტეს, რომ ტაივანის ჩრდილოეთით (იაპონიაში) კიდევ იგეგმება ცათამბჯენების მშენებლობა - ერთ-ერთი პროექტით, რომელიც იაპონელებმა შეიმუშავეს, იაპონიის ერთ-ერთ კუნძულზე უნდა აშენდეს კილომეტრის სიმაღლის სახლი-ქალაქი, სახელად "სკაი სიტი 1000".

სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, არსებობს მოსაზრება, რომ მასიურ ცათამბჯენებს შეუძლიათ მიწისძვრების პროვოცირება. უკვე დადგენილია, რომ მიწისძვრების გახშირებას იწვევს დიდი წყალსაცავების აგება. ამ შემთხვევაშიც, დედამიწის ქერქის გეოლოგიურ გააქტიურებას მასზე დაწოლის გაძლიერება იწვევს.

დაბოლოს, საპროექტო გათვლების მიხედვით, "ტაიპეი 101-ს" შეუძლია 7- მაგნიტუდიანი მიწისძვრებისა და ისეთი ძლიერი ქარიშხლების გაძლება, რომლის დროსაც ქარის სისწრაფე წამში 60 მეტრს აღწევს.



# საბრძოლო ვერტმფრენი-რობოტი დამოუკიდებლად მოქმედებს

ამერიკელმა სამხედროებმა წარმატებით გამოსცადეს კორპორაცია "ნორტროპ გრუმენის" მიერ შექმნილი უპილოტო შვეულმფრენი "RQ-8A ფაია სკაუტი", რომელმაც რამდენჯერმე შეძლო მოძრავ სამხედრო გემზე დამოუკიდებლად დაჯდომა.

პროგრამა "ფაია სკაუტი" უკვე დიდი ხანია, მოქმედებს. შვეულმფრენმა პირველივე გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა - მან დამოუკიდებლად შეძლო წინასწარ მითითებულ სამიზნეთა განადგურება. ახლა კი მოძრავი გემიდან აფრენასა და მასზე დაშვებასაც ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე ახერხებს.

ტესტირების დროს, ორი RQ-8A ცხრაჯერ დაჯდა სადესანტო ხომალდ "ნეშვილის" გემბანის წინასწარ განსაზღვრულ რგოლში. რაც მთავარია, ტესტების დროს საცდელი აპარატები დისტანციურად არ კონტროლდებოდა.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მსგავსი უპილოტო ვერტმფრენები შეიარაღებაში 2008 წელს უნდა მიიღოს. მანამდე კი ჯერაც უამრავი გამოცდაა ჩასაბარებელი. მერმის საზღვაო ძალებში ტესტირებას გაივლის აპარატის მოდერნიზებული ვარიანტი MQ-8B - "ნორტროპი" ტესტებისთვის 12 რობოტს დაამზადებს, რომელთაგან 8 ხმელეთზე შემოწმდება, დანარჩენები კი - ზღვაზე.

"ფაია სკაუტი" უნივერსალური დანიშნულების აპარატია. იგი ჩვეულებრივი ოთხადგილიანი ვერტმფრენის გაბარიტებში ეტევა



და დიდი რაოდენობით საწვავის ტარება შეუძლია, რისი წყალობითაც, ჰაერში დიდ დროს ატარებს. რაც მთავარია, ის ასრულებს როგორც საბრძოლო, ასევე სადაზვერვო დავალებებს. უფრო მეტიც, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მოძრავი გემბანიდან აფრინდება, თუ მოუწყობელი აეროდრომიდან.

"ფაია სკაუტს" შეუძლია როგორც სადაზვერვო აპარატურის ტარება და გამოყენება, ასევე საბრძოლო ბატალიებში მონაწილეობაც. მისი მთავარი იარაღი საბრძოლო რაკეტებია (ჰაერი-ჰაერი და ჰაერი-ხმელეთი). საჭიროებისამებრ, შესაძლებელია მისი გამოყენება როგორც დისტანციური მართვით, ასევე საბორტო კომპიუტერში შეყვანილი სპეციალური პროგრამითაც (ავტონომიურად, რობოტის რეჟიმში).

# დოსტოევსკი მანჰეტენზე

### ფობიებით შეპყრობილი ანდრე



**სოფო კილასონია**

ის, ვინც უცხოენოვან ლიტერატურას, როგორც წესი, რუსულ ენაზე ეცნობა, მათთვის ერთ საინტერესო წიგნზე ვისაუბრებთ.

რუსულ ენაზე ანდრე გლიუკსმანის წიგნი "დოსტოევსკი მანჰეტენზე" უთარგმნიათ. ამ მწერალს რუსოფობის რეპუტაცია აქვს. არც არის გასაკვირი. რუსების "დიდსულოვნებას" ის ჯერ შორიდან, შემდეგ კი შუაგულ ჩეჩნეთიდან აკვირდებოდა და, როგორც ჩანს, რემარკების მსგავს პატარა ტექსტებს უბის წიგნაკში ინიშნავდა. როგორც ვიცი, ფედერალები ეძებდნენ, მაგრამ რუსულ ციხეში მაინც ვერ მოათავსეს. პუტინის პოლიტიკის მოსარჩლე საზოგადოება კი ამ ადამიანს თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლის გამო აშკარად არ ემდურის. სხვათა შორის, ანდრე გლიუკსმანს რუსეთის ვიზა არც ლიბერალურ 2000-ში მისცეს, მაგრამ მაშინ თურმე მიზანს მაინც მიაღწია. ამისთვის კი სულ მარტივი რამ - ყალბი დოკუმენტები გამოიყენა. რუსული პრესა ახლა წერს, რომ ბედი ჰქონია ანდრესო: "Наши бы не посмотрели, что француз и что старый."

გლიუკსმანი ნამდვილად არ არის ჭაბუკი. სულ მალე 70 წლისა შესრულდება. თუმცა, კარგადაც გამოიყურება და ელეგანტურადაც იმოსება. ასეთი დახასიათების მიუხედავად, მისი სახის ხილვით არათუ რუსები ვერ ხარობენ, დიდად ვერც ფრანგები ხალისდებიან. ისინიც ცდილობენ გლიუკსმანის არსებობა როგორმე დაივიწყონ. ბუნებრივიცაა, ვინ თქვა, რომ, რუსებისგან განსხვავებით, ფრანგებს უყვართ მწარე და გესლიანი ფრაზები?!

გლიუკსმანმა ადრეულ ასაკში იწვნია პოლიტიკური ეიფორიით იმედების გაცრუება.

პარიზული სტუდენტური მოძრაობის აქტივისტმა 1968 წელს "ომის დისკურსი" დაწერა. რევოლუციის გარეგნულ წარუმატებლობას მისი შემართების დაცემა მოჰყვა. ამ მოძრაობის გაანალიზებამ გლიუკსმანი აიძულა ფასეულობები გადაეფასებინა. 1975 წელს გამოვიდა მისი წიგნი "მზარეული და ჭამის მოყვარული", რომელიც ნათელს ჰფენდა ფაშიზმისა და კომუნიზმის მსგავსებას, ორი წლის შემდეგ კი - ყველაზე პოპულარული ნაწარმოები "მოაზროვნეები და ხელისუფლება". ამ უკანასკნელმა იმთავითვე პოლიტიკის ფილოსოფიაში დაიდო ნავსაყუდელი. სწორედ მაშინ დაიწერა პირველად გლიუკსმანის შესახებ ჩვენთვის გასაგებ რუსულ ენაზე. ალექსანდრ პიატიგორსკიმ ჟურნალში "სინტაქსის" აღნიშნა, რომ ფრანგ მწერალს არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა, საზოგადოებისთვის სრულიად ანტისაზოგადოებრივი იდეები გაემხილა.

წლებთან ერთად გლიუკსმანი თანდათან პუბლიცისტიკისკენ გადაიხარა. თანაც აქტიურ საზოგადო მოღვაწედაც მოგვევლინა. რუსული პოლიტიკა ჩეჩნეთთან მიმართებაში მისთვის ისეთივე მტკივნეული თემა გამოდგა, როგორც სლობოდან მილოშევიჩის დანაშაული. მისი რეპუტაციაც თანდათან შეილახა და ანდრე გლიუკსმანი "რუსოფობად" მოინათლა. ალბათ იმიტომ, რომ იგი "იმ ევროპული ნიღბის მიღმა არსებულის დანახვას აპირებდა, რომლითაც უძველეს დესპოტიას შეიცნობდა."

წიგნის "დოსტოევსკი მანჰეტენზე" წერას გლიუკსმანი 2001 წლის 11 სექტემბერს შეუდგა, მაშინ, როდესაც ლამაზად შეფუთული სამყარო სრულიად განადგურდა, ილუზიების ბუშტები დასკდა და თან მოსალოდნელზე უფრო მტკივნეულად. წიგნს თავისებური კვალი დაამჩნია შთაბეჭდილებებმა, რომელმაც იმთავითვე მრავლისმთქმელი და ემოციურად დამუხტული გახადა, ვიდრე ის შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ისე, განწყობისთვის. დანარჩენი კი, უფრო სწორად, თითქმის მთლიანად, მათ, რუსებს ეხება და ამას წიგნის მთავარი გმირებიც ვერაფერს უხერხებენ.

სიტყვა "გმირები" აქ პირობითად ვახსენეთ. თუმცა, ისინი რეალურადაც არსებობენ. მათი არსებობის მიუხედავად, აქ მთავარი ზოგადი თემების განსჯაა. ისეთი საკითხების განსჯა, თუ როგორი კვალი დაამჩნია ერს მარქსისტულმა თეორიებმა, მყარმა იდეოლოგიამ, რომელიც საზოგადოებას გამოეცალა. სწორედ ამით ხსნის ავტორი იმას, რომ რუსეთი ერთი დიდი ნიჰილიზმია. თანაც ძალადობა და აგრესია მეზობლის, მეგობრის, განსხვავებული ნაციონალობის მქონე გამვლელისა და თანამგზავრის მიმართ. ადამიანები, რომლებსაც აღარც ღმერთი ჰყავთ და აღარც არაფერი აქვთ დასაკარგი. წიგნი მთავრდება და ავტორი დაუფარავად აცხადებს, რომ ამ ნიჰილიზმზე უნდა გავიმარჯვოთ, მაგრამ ფაქტია, რომ თავადაც არ იცის, როგორ უნდა მოახერხონ ეს ადამიანებმა.

ზუსტად არ ვიცი, აქვთ თუ არა უკვე ეს წიგნი ჩვენს ბუკინისტებს. თუმცა, მითხრეს, რომ უცხოენოვანი რომანების რუსულად თარგმნა და მათი თბილისში შემოტანა ერთიაო. ამიტომაც დავწერე... თუ წიგნის რეიტინგულობასა და თემატიკას გავითვალისწინებთ, ის უკვე აქ უნდა იყოს.

# "ფორდის" მზე ესვენება



**მელორ სტურუა**
*საქ. კორ. აშშ-ში*

იანვრის ბოლო "ფორდისთვის", რომელიც, "კოკა კოლასა" და სალეჭი რეზინის მსგავსად, ყოველთვის იყო ამერიკანიზმის სიმბოლო, მძიმე აღმოჩნდა. საავტომობილო იმპერიის დედაქალაქ დირბორნში "ფორდის" ხელმძღვანელმა, ლეგენდარული ჰენრი ფორდის შთამომავალმა ვილიამ კლეი ფორდ-უმცროსმა გამოაცხადა, რომ "ფორდს" რთული დრო დაუდგა".

დრო იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ "ფორდ მოტორ კომპანიმ" 14 ქარხნის დახურვა და 30 ათასი თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა გადაწყვიტა. ზუსტად ორი თვის წინ იგივე საავტომობილო გიგანტმა "ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა - 14 ქარხანას ვხურავთ და 30 ათას თანამშრომელს ვუშვებთო. N1 და N2 საავტომობილო კონცერნების "დიდ სამეულს" ბოლო წევრი, "კრაისლერ კორპორეიშენიც" დაემატა. 2000 წლიდან "დიდმა სამეულმა" უმუშევრად დატოვა 140 ათასი ადამიანი, ანუ ჩრდილოამერიკულ კონტინენტზე თავისი სამუშაო ძალის თითქმის მესამედი.

ვიდრე "სამეულის" შიდაწარმოება შაგრენის ტყავის მსგავსად მცირდებოდა, ქვეყნის სამხრეთით არაამერიკული - იაპონური, გერმანული და სამხრეთკორეული წარმოება აყვავდა. ამ უცხოურ კომპანიებში 60 ათასი ადამიანია დასაქმებული, იმდენივე, რამდენსაც "ფორდი" და "ჯენერალ მოტორსი" ქუჩაში ტოვებს. თუმცა ახალგაზრდა მუშებს დაბალი ანაზღაურება აქვთ (საათში 30 დოლარი) და საკმაოდ არამდგრადი სოციალური უზრუნველყოფა.

ფორდის გადაწყვეტილების გამო აშშ-ის საავტომობილო წარმოების მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს: "პროფკავშირის წევრებისთვის ეს გადაწყვეტილება საშინელია". ამ გადაწყვეტილებას ირონიულად "გზა წინ" უწოდეს. ფორდი ირწმუნება, რომ მისი მიზანია "ფორდი" იაპონური "ტოიოტასავით" მოქნილი გახდეს, შეამციროს ბიუროკრატიული აპარატი, გზა მისცეს ნოვაციებს და უფრო "იდენტური" გახადოს "ფორდის", "ლინკოლნისა" და "მერკურის" ბრენდის მარკები.

თუ 2000 წელს "ფორდს" ამერიკული ბაზრის 25 პროცენტი ეკავა, ამჟამად მხოლოდ 17,4 პროცენტს იკავებს. ორშაბათის განაცხადს სამუშაო ძალის ერთი მესამედი, ანუ 87 ათასი ადამიანი შეეწირება. შემცირებაში მოყვება 4 ათასი "თეთრი საყელოც" - ადმინისტრაციის 10 პროცენტი და ხელმძღვანელი პირების 12 პროცენტი.

"დიდი სამეულის" შემცირების გამო ამჟამად აშშ-ში 10 გაყიდული მანქანიდან 4 უცხოურ ქარხნებში, მექსიკის სამხრეთით მზადდება. სწორედ ამ ქარხნების წყალობით საავტომობილო წარმოებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა არ შემცირებულა და დაახლოებით 1,1 მილიონია. ახლო მომავალში "ტოიოტა" გეგმავს სან-ანტონიოსა და ონტარიოში კიდევ ორი ქარხნის გახსნას. გაფართოებას აპირებს "ნისანიც" კენტონში, მასაჩუსეტის შტატში. უცხოური კომპანიები, როგორც წესი, ასაქმებენ არაპროფესიონალ მუშებს, რომლებსაც მხოლოდ ორ მოთხოვნას უყენებენ - ფიზიკური ამტანობა და კოლექტივში მუშაობის ცოდნა.

"ფორდის" ის ქარხნები, რომლებიც შემცირებაში არ მოყვნენ, 3/4 დატვირთვით იმუშავებენ. ფორდი ამბობს, რომ ბიზნესის გარდასაქმნელად საჭიროა სტრატეგიული ფოკუსის შეცვლა. "ჩვენ კვლავ დავიპყრობთ ამერიკულ გზებს!" - აცხადებს ის. მის მომავალ გეგმებში მცირეგაბარიტული და იაფფასიანი ავტომობილების წარმოება შედის. თუმცა ეს გეგმები ბუნდოვანია. როგორც ჩანს, ფორდს მხედველობაში აქვს "ჯენერალ მოტორსის" მსგავსად ახალი კომპანიის შექმნა, რომელმაც სპრინგ-ჰიმზში იაპონელებისთვის კონკურენციის გასაწევად "სატურნ კორპორეიშენი" დააარსა. თავდაპირველად "სატურნმა" მართლაც შეავიწროვა "ტოიოტა" და "ჰონდა" (1990წ.), მაგრამ შემდეგ პოზიციები დათმო.

გეგმის "გზა წინ" გაცნობამდე ფორდმა განაცხადა, 2005 წელს კომპანიამ 1 მილიარდი დოლარი იზარალა. 2004 წელს ზარალმა 850 მილიონ დოლარს მიაღწია.

შარშან, დეკემბერში, რეიტინგულმა სერვისმა "სტანდარდ ენდ პუარმა" "ფორდის" ვალები რუბრიკაში "უსარგებლო ნივთები" გადაიყვანა. ფორდი გააფრთხილეს, რომ მას გაკოტრება ემუქრება. თუმცა ფორდების ოჯახი მზად არის ყველაფერი იღონოს, რათა თავი არ დაიმციროს. ორშაბათის ცერემონიალის დროს ფორდელთა გასამხნევებლად ფორდმა-უმცროსმა წინაპრები მოიგონა. შეკრებილ საზოგადოებას მან იმაზე უამბო, თუ როგორ შექმნა პირველი ავტომობილი ჰენრი ფორდმა. სამუშაოს დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მანქანა ავტოფარეხის კარში არ ეტეოდა. მაშინ ფორდმა კედლის ერთი მხარე გაანგრია და მანქანა "გაათავისუფლა". "შეგახსენებთ, რომ ვიდრე რაიმე ახალს შევქმნიდეთ, არაერთი კედლის განგრევა მოგვიწევს," - დაასრულა რიტორიკული თხრობა ფორდმა.

აშშ-ის საავტომობილო ბიზნესი კიდევ უფრო დასუსტდება, როცა მსოფლიო ბაზარზე ჩინეთი გამოჩნდება. დეტროიტში ავტოშოუზე ჩინეთის ავტოქარხანა "გილის" პროდუქციის წარდგენისას რეპორტიორებმა ის პირველ საბჭოთა თანამგზავრს შეადარეს. ავტომობილი "გილი" აშშ-ში 2008 წლიდან 10 ათას დოლარად (!) გაიყიდება. ხუთკაციანი ტევადობისა და "ჰონდას" ზომის მოდელის დათვალიერებისას ამერიკელმა ექსპერტებმა აღიარეს, რომ ის ამერიკულ მარკებს ნამდვილად სჯობს.

ამერიკის საავტომობილო პროფკავშირები არ ცრუობენ, როცა ირწმუნებიან "დიდ სამეულს" ხალხის სამსახურიდან დათხოვნა ვეღარ უშველისო. აუცილებელია მსუბუქი და სატვირთო მანქანების ახალი მოდელების შექმნა, რომლებიც თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და, რაც მთავარია, ბენზინის გარეშე, ალტერნატიულ საწვავზე იმუშავებენ. როგორც გერ ლუფტი, გლობალური უსაფრთხოების ანალიზის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, ფასი ნავთობზე აღარ დაიწევს... "თუ არ შექმნით ავტომობილებს, რომლებიც ამ პრობლემას გვერდს აუქცევენ, დაიღუპებით," - აცხადებს ლუფტი.

FM ცხელი 99.0

# ეკა და აფხაზეთი

**ეკა კვესიტაძე:** დღეს "დიალოგების თემაა" საქართველოს და აფხაზეთს შორის მოლაპარაკებები. გადაცემის სტუმარია აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, პრეზიდენტის მრჩეველი ირაკლი ალასანია. რა გახდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან თქვენი გადადგომის მიზეზი? იყო თუ არა ეს პირადად თქვენი სურვილი?

**ირაკლი ალასანია:** ასეთი გადაწყვეტილებები პირად ინტერესებსა და სურვილებზე ნაკლებად არის დამოკიდებული. ეს გადაწყვეტილება თვეების განმავლობაში მწიფდებოდა. მე მქონდა სტატუსი, რის გამოც აფხაზები არ მოდიოდნენ პირდაპირ დიალოგზე საქართველოს ხელისუფლებასთან. ახლა უფრო მეტი შანსია დაიწყოს დიალოგი კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, მთავარი პრიორიტეტია.

**ეკა კვესიტაძე:** რამდენად შესაძლებელია, რომ დაიწყოს მოლაპარაკება?

**ირაკლი ალასანია:** ჩვენ შორის არსებობს ნდობა და მე იმედი მაქვს, ამით შესაძლებელი გახდება მოლაპარაკების დაწყება. სასაუბრო ორივე მხარეს ნამდვილად ბევრი გვაქვს. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს საკითხი ვერ მოგვარდება ვერც ვაშინგტონში და ვერც მოსკოვში. ის ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა უნდა გადავჭრათ.

**ეკა კვესიტაძე:** რას ნიშნავს აფხაზეთის სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავება? არ არსებობდა იგი მანამდე?

**ირაკლი ალასანია:** აქ საუბარია ჩვენი მხრიდან საგზაო რუკის შექმნაზე. ქართულ მხარეს აქვს სამშვიდობო ინიციატივა ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენ გვინდა ახალი სამშვიდობო გეგმის შედგენა აფხაზეთთან დაკავშირებით. პრინციპები უკვე ჩამოყალიბებულია, რომელიც გვინდა აფხაზეთის ხელისუფლებას და ყველა იმ საორგანიზაციო ჯგუფს გავუზიაროთ, ვინც უშუალოდ მონაწილეობას იღებს ამ მოლაპარაკებაში. პირადად მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის ბაღაფშის შეხვედრას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ გეგმის დასრულებას და, რა თქმა უნდა, შინაარსიანი დიალოგის გაგრძელებას.

**ეკა კვესიტაძე:** იკვეთება თუ არა შეხვედრის კონტურები?

**ირაკლი ალასანია:** ორივე მხარემ უკვე გამოვთქვით მზადყოფნა. ახლა ზუსტდება შეხვედრის დრო და ადგილი. ამის შესახებ უახლოეს მომავალში მექნება კონსულტაციები აფხაზეთის წარმომადგენლებთან.

**ეკა კვესიტაძე:** ვინ მიიღებს აფხაზეთის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობას და რა პრინციპებზე იქნებიან თანახმა?

**ირაკლი ალასანია:** წინასწარ ვერ განვსაზღვრავ, რაზე იქნება თანახმა აფხაზეთის მთავრობა. დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ინსტრუმენტებს, რომლებიც არსებობს მოლაპარაკების პროცესში. ყველაფერი დამოკიდებულია გაეროსა და სამხედრო დამკვირვებლების მისიაზე. უახლოეს მომავალში განხილული იქნება გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია, რომელშიც ჩვენ მოვითხოვეთ მაქსიმალურად ადეკვატურად შესწავლილიყო აფხაზეთში არსებული რეალობა და სამხედრო კომპონენტის არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ჩვენი პოლიტიკა მრავალმხრივია. ამ პროცესში ჩაერთვებიან სხვადასხვა ქვეყნები და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით ნდობა აღდგეს.

**ეკა კვესიტაძე:** რა დროა საჭირო იმისთვის, რომ სამშვიდობოების პროცესი დასრულდეს?

**ირაკლი ალასანია:** ძალიან რთული კითხვაა. პროგნოზის გაკეთება თითქმის შეუძლებელია. ალბათ რამდენიმე წელიწადი, თუ საქართველოს ხელისუფლება სწორ პოლიტიკას წარმართავს.

**ეკა კვესიტაძე:** თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 2007 წლის პირველ იანვარს იგი აფხაზეთში შეხვდება. რა გათვლებს ეყრდნობოდა, როცა ეს განცხადება გააკეთა?

**ირაკლი ალასანია:** თუ სწორად მახსოვს, ეს სიტყვები აფხაზეთთან დაკავშირებით არ თქმულა. თუ ითქვა, ესე იგი, ის ჩემზე უფრო ოპტიმისტი ყოფილა.

**ეკა კვესიტაძე:** რამდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან ნატოში გაწევრიანება და კონფლიქტების მოგვარება?

**ირაკლი ალასანია:** ურთიერთკავშირში, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ კონფლიქტების მოგვარების საკითხი ხელს არ შეუშლის ნატოში შესვლას.


## თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის დადგენილება

(სხდომის ოქმი №4, მუხლი 1)
2006 წლის 3 აპრილი 12.00 სთ.

თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა:

1. 2006 წლის 3 აპრილს 16 საათზე მოწვეულ იქნეს თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით - თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

თავმჯდომარე გ. ჭალაგანიძე
ზ. გეგეჭკორი
რ. შავლაყაძე
ე. გოგიძე
გ. ლეფსიწვერიძე

**მისამართი: თავისუფლების 7.**



TV5MONDE

## 25 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** სამხრეთის ანარეკლი. ტოგო. **11.25** პლანეტის 7 დღე. **12.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** გადაცემა: გურმანი. **17.30** სპორტული მოედნები. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** ბურლინგერის დღიურები. **21.30** აგატა და დიდი მალაზია. მხ ფილმი. რეჟისორი ბერტრან არტუისი. 2001. **24.00** კითხვები ჩემპიონისთვის. ფრანგული ენა. სპეციალური გამოშვება. **02.20** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს. 05.15. საფრანგეთი ზაფხულის დროზე გადადის.

## 26 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **11.30** გადაცემა: აღმოჩენა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** ქრონიკები მთიდან. **15.05** რაგბის დღე. **17.25** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **21.30** გადაცემა: შეხვედრა ევროპა I და TV5MONDE-ს შორის. **22.30** ფეხბურთის დღე. I ლიგა. **24.00** ლუიზას მოგზაურობა. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ვოლსონი. 2004. **02.20** გზააბნეული გოგოები. მხ ფილმი. რეჟისორი კლოდ დუტი. 2002. **05.40** ალუბლის ხეები. დოკ. ფილმი.



## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


## განცხადება

**2006 წლის 16 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

განცხადებაში ტურბინისა და ტრანსფორმატორის ზეთების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის შესახებ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| ლოტი 1 | ტურბინის ზეთი ТП-30, ГОСТ 9972. | 8000,0 ლიტრი |
| ლოტი 2 | ტრანსფორმატორის ზეთი 220 კილოვოლტიან ტრანსფორმატორებში გამოსაყენებლად | 20000,0 ლიტრი |

სატენდერო კომისია

საქართველოს ეროვნული გალერეა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი მხატვრის

**ოთარ ჩხარტიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს ეროვნული გალერეის დირექცია**

გურამ მაღლაკელიძე ოჯახით, მწუხარებით იუწყება დედის

**ლოლა სეხნიკვერაძე-მაღლაკელიძის**

გარდაცვალების შესახებ.

**პანაშვიდი** 26, 27 მარტს 16 საათზე. **გამოსვენება** 28 მარტს 15 საათზე.

**მისამართი: წყნეთი, ზონა "ბ", N 26**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ხელახალ ტენდერს **2006 წლისათვის ნაბეჭდი პროდუქციის** სახელმწიფო შესყიდვაზე. დაფინანსების წყაროა - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| N | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. | თვითწებადი ერთჯერადი სპეც. ლუქი (5 ფერის) | ცალი | 60000 | ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6 |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107, ა/ა N200122900, სახაზინო კოდი 302003000, მიუთითონ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, რის შემდგომაც გადმოეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**3.** ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) მ.წ. **13 აპრილიდან 14 აპრილის 12.00 საათამდე** სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.**1 იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**დ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.** პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

**7.** დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. N6. ტ: 94-09-04.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ხელახალ ტენდერს **2006 წლისათვის კვების პროდუქტების** სახელმწიფო შესყიდვაზე. დაფინანსების წყაროა - სახელმწიფო ბიუჯეტი.

| ლოტისN | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ლოტი N1 | 1. I ხარისხის პური | 450 გრ. ცალი | 40000 | ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6 |
| ლოტი N2 | 1. საქონლის ხორცი | კილოგრ. | 6000 | |
| | 2. ღორის ხორცი | კილოგრ. | 2000 | |
| | 3. ხბოს ხორცი | კილოგრ. | 1500 | |
| | 4. ძეხვი | კილოგრ. | 500 | |
| | 5. ძეხვი შებოლილი | კილოგრ. | 500 | |
| | 6. სოსისი | კილოგრ. | 1000 | |
| | 7. თევზი სკუმბრია | კილოგრ. | 800 | |
| | 8. კარაქი | კილოგრ. | 800 | |
| | 9. ერბო | კილოგრ. | 400 | |
| | 10. ყველი | კილოგრ. | 400 | |
| | 11. არაჟანი | 200 გრ. ქილა | 800 | |
| | 12. ზეთი | ლიტრი | 1500 | |
| | 13. ძმარი | ლიტრი | 300 | |
| | 14. მაკარონი | კილოგრ. | 1300 | |
| | 15. ბრინჯი | კილოგრ. | 1300 | |
| | 16. წიწიბურა | კილოგრ. | 1300 | |
| | 17. ბარდა | კილოგრ. | 1000 | |
| | 18. ტომატ-პასტა | კილოგრ. | 1500 | |
| | 19. კარტოფილი | კილოგრ. | 30000 | |
| | 20. ლობიო | კილოგრ. | 1000 | |
| | 21. ხახვი | კილოგრ. | 2000 | |
| | 22. ნიორი | კილოგრ. | 700 | |
| | 23. ჭარხალი | კილოგრ. | 700 | |
| | 24. სტაფილო | კილოგრ. | 700 | |
| | 25. კომბოსტო | კილოგრ. | 6000 | |
| | 26. კიტრი | კილოგრ. | 1000 | |
| | 27. პომიდორი | კილოგრ. | 1000 | |
| | 28. დაფქვილი წიწაკა | კილოგრ. | 80 | |
| | 29. სუნელები | კილოგრ. | 80 | |
| | 30. მწვანილი | კილოგრ. | 1500 | |
| | 31. შაქარი | კილოგრ. | 2200 | |
| | 32. მარილი | კილოგრ. | 400 | |
| | 33. ხილი ვაშლი | კილოგრ. | 2200 | |
| | 34. ჩირი | კილოგრ. | 1500 | |
| | 35. ქიშმიში | კილოგრ. | 70 | |
| | 36. ჯემი | 400 გრ. ქილა | 400 | |
| | 37. ლიმონი | კილოგრ. | 400 | |
| | 38. ჩაი (ერთჯერადი) | 100 ცალ. კოლოფი | 500 | |
| | 39. ყავა | 100 გრ. კოლოფი | 300 | |

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107, ა/ა N200122900, სახაზინო კოდი 302003000, მიუთითონ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, რის შემდგომაც გადმოეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**3.** ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქარტულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) მ.წ. **13 აპრილიდან 14 აპრილის 14.00 საათამდე** სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

**5.** მოწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.**1 იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**დ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.2** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

**ბ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**7.** პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

**8.** დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. N6. ტ: 95-25-67, 92-33-21.**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა | ტექნიკური პირობები |
|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი კლასის ავტომობილი | 35 | გამოშვებული 1997-1999 წლებში. სედანის ტიპის ძარით, ოთხკარიანი, ბენზინის ძრავით - მოცულობა 1600-2500 კბ/სმ., მექანიკური გადაცემათა კოლოფით (5 სიჩქარიანი + R), წინა ამძრავი თვლებით, კვების სისტემა "ინჟექტორული". ფერი - თეთრი. |
| 2 | მაღალი გამავლობის მსუბუქი კლასის ავტომობილი | 2 | გამოშვებული 2006 წელს. ორკარიანი, ბენზინის ძრავით - მოცულობა 1700 კბ/სმ., მექანიკური გადაცემათა კოლოფით (5 სიჩქარიანი + R), ოთხივე ამძრავი თვლებით (4X4), კვების სისტემა "ინჟექტორული". ფერი - თეთრი. |
| 3 | სამგზავრო მიკროავტობუსი | 1 | გამოშვებული 1998-1999 წლებში. გრძელი ბაზით, საშუალო სიმაღლის, დიზელის ძრავით - მოცულობა 2500 კბ/სმ., მექანიკური გადაცემათა კოლოფით, არანაკლებ 12 სამგზავრო ადგილით. ფერი - თეთრი. |
| 4 | სამგზავრო მიკროავტობუსი | 1 | გამოშვებული 1998-1999 წლებში. მოკლე ბაზით, საშუალო სიმაღლის, დიზელის ძრავით - მოცულობა 2500 კბ/სმ., მექანიკური გადაცემათა კოლოფით, არანაკლებ 9 სამგზავრო ადგილით. ფერი - თეთრი. |

2. დაინტერესებულ პირებმა ღია ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გიაცემა ა.წ. 25 მარტიდან 14 აპრილამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცენები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **ა.წ. 14 აპრილის 15 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა). ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ). ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა). ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ). ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 14 აპრილის 15 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 14 აპრილის 15 საათზე.**

9. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: **517406**.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტებია:

L **ლოტი N1**

1) ბენზინი A92 (სატალონო მომსახურებით) - 3143 ლიტრი;
2) დიზელი L62 (სატალონო მომსახურებით) - 4000 ლიტრი;

**მიწოდების ადგილი:** ქ.ახალქალაქში მიმწოდებელი ორგანიზაციის ქსელში არსებული ავტოგასამართი სადგურები.

**ლოტი N2**

1) ბენზინი A92 (სატალონო მომსახურებით) - 5000 ლიტრი;
2) დიზელი L62 (სატალონო მომსახურებით) - 5000 ლიტრი;

**მიწოდების ადგილი:** ქ.ახალციხეში მიმწოდებელი ორგანიზაციის ქსელში არსებული ავტოგასამართი სადგურები.

**ლოტი N3**

მაზუთი - 40000 კგ.

**მიწოდების ადგილი:** ქ.ახალციხე, თსუ მესხეთის ფილიალი, რუსთაველის 91.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 მარტის 10.00 საათიდან 14 აპრილის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ "რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 17 აპრილის 10.00 საათიდან 18 აპრილის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 18 აპრილის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

**1.** ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 48, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესყიდვაზე, მათ ადგილზე მიწოდებაზე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, სამედიცინო პერსონალის სწავლებაზე, საგარანტიო მომსახურეობაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი 1. სასტერილიზაციო აპარატურა;
ლოტი 2. ენდოსკოპიური აპარატურა;
ლოტი 3. ლაპაროსკოპიული აპარატურა და ელექტროდანები;
ლოტი 4. რენტგენოგრაფიული სისტემა;
ლოტი 5. მობილური რენტგენი;
ლოტი 7. ქირურგიული C-Arm-ი;
ლოტი 8. კომპიუტერული ტომოგრაფი;
ლოტი 9. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი;
ლოტი 10 სტაციონარული შავ-თეთრი ულტრაბგერითი სკანერი;
ლოტი 11 სტაციონარული ფერადი დოპლერით ულტრაბგერითი სკანერი კარდიოლოგიისათვის;
ლოტი 12. ანესთეზიისა და ხელოვნური სუნთქვის აპარატურა;
ლოტი 13. რეანიმაციული აპარატურა;
ლოტი 14. დიაგნოსტიკური აპარატურა;
ლოტი 15. ნეიროქირურგიული აპარატურა;
ლოტი 16 საოპერაციოს აღჭურვილობა და ქირურგიული ინსტრუმენტები.

სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღება ზემოთჩამოთვლილი ლოტების შემადგენლობაზე ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მათი მოთხოვნის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატში, დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე, მაგრამ არა უგვიანეს - 2006 წლის 1 სექტემბრისა "DDP- საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული" პირობით, შემსყიდველის მითითების შესაბამისად.

2. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 აპრილს 10:00-დან 15:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების თაობაზე, რომელთა საერთო ღირებულება აღემატება 500000.00 (ხუთასი ათასი) ლარს:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| . | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

**შენიშვნა**: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 25 მარტიდან 14 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ალტერნატიული წინადადება, ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

7. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

## შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს ავეჯის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| | **საძინებელი** | |
| 1 | საწოლი 200-200 | 3 |
| | პანელი საწოლის უკან 200-150 | 3 |
| | მატრასი 200-200 | 3 |
| 2 | ტუმბო 50-50-40 | 24 |
| 3 | კარადა სამგანყოფილებიანი 150-60-205 | 2 |
| 4 | საწერი მაგიდა 120-75-60 | 13 |
| 5 | ტრილიაჟი 120-75-60 | 3 |
| 6 | კომპ.: კარადა-სარკე-საკიდი-(ჩემოდნის დასადები თაროთი) 180-60-205 | 2 |
| 7 | ორადგილიანი გასაშლელი დივანი | 3 |
| 8 | სავარძელი | 3 |
| 9 | სკამი 8854 | 16 |
| 10 | ტუმბო 60-60-75 | 3 |
| 11 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 3 |
| 12 | საწოლი 100-200 | 18 |
| | პანელი საწოლის უკან 100-100 | 18 |
| | მატრასი 100-200 | 18 |
| 13 | სარკე 80-80 | 11 |
| 14 | კომპ:კარადა-სარკე 160-60-205 | 1 |
| 15 | სავარძელი გასაშლელი | 8 |
| 16 | კარადა ორ განყოფილებიანი 100-60-205 | 2 |
| 17 | კომპ.: სარკე- საკიდი | 6 |
| 18 | კარადა ერთგანყოფილებიანი 50-60-205 | 4 |
| 19 | კომპ: კარადა- სარკე- საკიდი 190-60-205 | 4 |
| | **სასადილო** | |
| 1 | მაგიდა 160x80 კდ.6850 | 6 |
| 2 | სკამი კდ8852 | 36 |
| | **შემოსასვლელი** | |
| 1 | სამუშაო მაგიდა უჯრებით | 1 |
| 2 | სკამი კდ8854 | 2 |
| 3 | ორადგილიანი დივანი | 1 |
| 4 | სავარძელი | 2 |
| 5 | ჟურნალის მაგიდა | 2 |
| | **საკოფერენციო დარბაზი** | |
| 1 | საკომფერეციო მაგიდა 960-400 | 1 |
| | საკომფერეციო მაგიდს შემადგენლობა: | |
| | მაგიდა 160-80 | 10 |
| | მაგიდა 80-80 | 4 |
| | მაგიდა 129-80 | 4 |
| 2 | სკამი 8853 | 50 |

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 60 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი, 14 აპრილის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო, ვაკე-საბურთალოს რაიონი) ანგ.DN200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300044040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 15 აპრილიდან 20 აპრილის 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია Bბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79

*სატენდერო კომისია*

# ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა

მდებარე ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68 ა, აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შესყიდვის ობიექტი დაყოფილია სამ ლოტად, განსაზღვრულია აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება შემდეგ ობიექტებზე:

ლოტი 1. მიცკევიჩის ქ. №4-ში მდებარე 5-სართულიანი შენობა;
ლოტი 2. გამსახურდიას გამზ. II კვარტ., კორპ. №7 (8-სართულიანი შენობა);
ლოტი 3. გამსახურდიას გამზ. №45-ში მდებარე 5-სართულიანი შენობა.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის II-IV კვარტალი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში 2006 წლის 17 აპრილიდან 18 აპრილის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68 ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აგრეთვე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შსს საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) ინფორმაციას მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაციას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში წარმოებული ანალოგიური სახის სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2006 წლის 15 აპრილის 11 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68 ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის): ა/ა № 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი (ვაკე-საბურთალოს რაიონის) 300044040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

7. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილ იქნას რამდენიმე გამარჯვებული. სატენდერო წინადადებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას №1 პუნქტში აღნიშნული ცალკეული ლოტების მიხედვით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარბაქაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-38-42; ვ. ყიფიანი - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი - 33-59-92. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 68 ა.

სატენდერო კომისია

# საგრანტო კონკურსი

ქალაქებისათვის ტასისის საგრანტო სქემის (TCAS) ფარგლებში დასაფინანსებლად ევროაიდი იწვევს საქართველოს მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ საპროექრო წინადადებები (სქემა ფინანსდება ევროკავშირის მიერ).

TCAS სქემით ევროკავშირი 5 ქვეყნის (ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, უკრაინა) გამარჯვებულ მუნიციპალიტეტებს 1,6 მილიონ ევროს გაუნაწილებს. საპროექტო წინადადებები ქალაქების პრიორიტეტულ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე უნდა იყოს მიმართული. ეს შეიძლება იყოს:

- მყარი და სახიფათო ნარჩენების მართვა;
- ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების შემცირება, წყლის დაზოგვა;
- ჰაერის დაბინძურების შემცირება (ავტომობილების ან მრეწველობის მავნე გაფრქვევების შემცირება);
- ენერგო ეფექტურობის ზრდა მუნიციპალურ შენობებში (ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების ჩათვლით);
- და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა ზემოთმოხსენიებულ სფეროში (ცნობიერების ამაღლება, არსებული მდგომარეობის შეფასება სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ)

პროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ყველა რაიონული ცენტრის და რაიონში არშესული ქალაქების მუნიციპალიტეტს. წახალისდება თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის და პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თითო პროექტის ფარგლეში დასაშვებია 120-დან 160 ათასამდე ევროს მოთხოვნა. განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სახსრები პროექტის 20%-ს თანადაფინანსებისათვის. საპროექტო წინადადებები უნდა შედგეს ინგლისურ ენაზე (წინასწარ დადგენილი სააპლიკაციო ფორმის მიხედვით) და უშუალოდ განმცხადებლის მიერ გაიგზავნოს ბრიუსელში. განიხილება მხოლოდ ევროეიდის მიერ 2006 წლის 30 ივნისამდე მიღებული განაცხადები. გამარჯვებული მუნიციპალიტეტები გამოვლინდება 2006 წლის სექტემბერში.

განაცხადის წარდგენისათვის საჭირო დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაცია დაინტერესებული მუნიციპალიტეტების ტრენინგის შესახებ იხილეთ ინტერნეტ-გვერდზე http://tcas.rec.org . ტრენინგი დაინტერესებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის გაიმართება თბილისში, 2006 წლის 16-18 მაისს. ტრენინგში მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ TCAS ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენელთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინფორმაციისათვის მიმართეთ TCAS ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენელს საქართველოში, ქ-ნ ლია თოდუას, ტელ: 899 577959, 399019, ფაქსი: 250711, ელ-ფოსტა: *lia@tcas.rec.org*

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებულ სარეწაო-გეოფიზიკური და სამეცნიერო კვლევით სამუშაოებზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო - კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

აღნიშნული სამუშაოები უნდა წარიმართოს "ნავთობისა და გაზის ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული წესების შესახებ" საქართველოს კანინის შესაბამისად. ნავთობის საბადოების რაციონალური დამუშავების მიზნით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოების შედეგად უნდა მომზადდეს საბადოთა დამუშავების გეგმები, პროექტები, დამუშავების ტექნოლოგიური სქემები და ანგარიშები სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად.

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქცია უნდა მოიცავდეს განსახორციელებელი სამუშაოების წარმართვის რეკომენდაციების დეტალურ აღწერას, სადაც განხილული და დასაბუთებული იქნება ბუდობებიდან ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები უნდა მოიცავდეს ორ ძირითად მიმართულებას:

**I. სარეწაო-გეოლოგიური სერვისი,** რომლის მიზანს წარმოადგენს კომპანიის დაქვემდებარებაში მყოფი ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების გეგმების შედგენა; ბუდობების დამუშავების სარეწაო-გეოლოგიური და ეკონომიკური ანალიზები 2006 წლისათვის და მის ბაზაზე 2007 წელს ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შემუშავება; ბუდობებზე ნავთობისა და გაზის ნარჩენი მარაგების გადათვლა; ნავთობისა და გაზის მარაგების სახელმწიფო ბალანსების შედგენა; ნავთობისა და გაზის შეკრება-მომზადების ტექნოლოგიური რეგლამენტის შემუშავება; ჭაბურღილების ჰიდროდინამიკური კვლევები; ნავთობის, გაზისა და წყლის სინჯების ლაბორატორიული შესწავლა; სარეწაო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და გადაიარაღების დაპროექტება.

**II. სარეწაო გეოფიზიკური სერვისი,** რომლის მიზანია ჭაბურღილებში სარეწაო-გეოფიზიკური სამუშაოების წარმოება. მათ შორის სხვადასხვა სახის კაროტაჟული (სტანდარტული, გამა, ნეიტრონული, ნეიტრონულ-ნეიტრონული, გამანეიტრონული, იმპულსური და სხვ.) სამუშაოები; ჭაბურღილების ბურღვის პროცესში ჭრილის გეოლოგიური შესწავლისა და პარამეტრების დადგენის მიზნით გაზოკაროტაჟული სამუშაოები; ჭაბურღილებში პერსპექტიული ფენების ზონის საპერფორაციო-აფეთქებითი სამუშაოები; ნავთობშემცველი ფენების გამოცდა და ჭაბურღილებში სვაბირების ჩატარება; სარეწაო-გეოფიზიკური მასალების მომზადება და ინტერპრეტაცია.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება უნდა დაიწყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის განმავლობაში და უწყვეტად უნდა წარმოებდეს 2006 წლის განმავლობაში.

დაინტერესებულმა პირებმა, სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, დახურულ კონვერტში ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნიდან მონაწილეობის მსურველებმა - ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი) შედგენილი თავიანთი განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 აპრილის 12 საათიდან 21 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65, ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" ადმინისტრაციული შენობა, II სართული, ოთახი NN23-24, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი არ უნდა იყოს ჩადებული დახურულ კონვერტში და ის ცალკე წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტთან ერთად. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექცია,
ხაზინის ერთიანი ანგარიში: ანგ. N200122900,
სახაზინო კოდი: N300043133
საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.

**ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"**

**პრეტენდენტის პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს**:

- საერთო გეგმასა და მითითებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც ის წარმართავს თავის საქმიანობას;
- ცალკეული პროექტების მაკეტს ან სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ის წარმართავს სარეწაო-გეოლოგიურ და სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს;
- წინადადებებს ნავთობისა და გაზის შეკრება-მომზადების ტექნოლოგიური რეგლამენტის შემუშავებისა და სარეწაო ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ.

**პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად, ასევე დახურულ კონვერტში, უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:**

**იურიდიულმა პირებმა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ამ ორგანიზაციის ნოტარიულად დამოწმებული წესდება;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურმა პირებმა:**

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა:**

- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მინაცემები უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- შესაბამისი სამუშაოების საწარმოებლად საჭირო ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები;
- საკუთრებაში (ან საკუთრების სხვა ფორმით) არსებული ტექნიკის ჩამონათვალი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ჰიდროდინამიკური, კაროტაჟული, სვაბირებითი, საპერფორაციო და სხვა სამუშაოების წარმოება;
- მუშა-მოსამსახურე პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობისა (არის თუ არა ანგარიშები დაყადაღებული ან გაყინული) და ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირების საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

ფიზიკური და იურიდიული პირების ფილიალებმა თავიანთი პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათაო ოფისიდან.

ტენდერში მონაწილეობის მსურველები არ დაიშვებიან ტენდერის მეორე ეტაპზე თუ მათ მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს და მათი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65, ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", შესყიდვების განყოფილება - ზურაბ კოპალეიშვილი, დ. ორჯონიკიძე. ტელ: 94-37-19; 33-27-34.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვა-მიწოდებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო - კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

შესყიდვა განხორციელდება ცალკეული ლოტების მიხედვით. კერძოდ:

**I ლოტი - საავტომობილო საწვავის მიწოდება ბითუმად**

| N | საწვავის დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) | საწვავის მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი, ოქტანური რიცხვი - 91 | 75500 | გარდაბნის რაიონი, სოფელი ვაზიანი, "საქნავთობის" ავტოფარეხის I ავტოკოლონა |
| | დიზელის საწვავი, ლ-62 | 227000 | |
| 2 | ბენზინი, ოქტანური რიცხვი - 91 | 11000 | გარდაბნის რაიონი, სოფელი ვაზიანი, "საქნავთობის" სატამპონაჟო კანტორა |
| | დიზელის საწვავი, ლ-62 | 162000 | |
| 3 | ბენზინი, ოქტანური რიცხვი - 91 | 42700 | გარადბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა, "საქნავთობის" სამგორის სათაო ნაგებობა |
| | დიზელის საწვავი, ლ-62 | 58000 | |
| 4 | დიზელის საწვავი, ლ-62 | 40000 | ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ღრმაღელე |
| | **სულ ბენზინი:** | **129200** | |
| | **სულ დიზელი:** | **487000** | |

**II ლოტი - საავტომობილო საწვავის მიწოდება ტალონური სისტემით**

| N | საწვავის დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) | საწვავის ტალონების მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი, ოქტანური რიცხვი - 98 | 23500 | ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65 |
| | ბენზინი, ოქტანური რიცხვი - 92 | 104000 | |
| | დიზელი EN-590 | 24000 | |

საავტომობილო საწვავის მიწოდება აღნიშნულ მისამართებზე უნდა განხორციელდეს 2006 წლის **1 მაისიდან** 2006 წლის 31 დეკემბრაბდე, შემსყიდველის მხრიდან წინასწარ განსაზღვრული საწვავის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის მიხედვით.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ცალკეული ლოტის მიხედვით (შესაბამისი ლოტის აღნიშვნით) უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 17 აპრილის 15 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65, მე-2 სართული, ოთახი N24.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

**იურიდიულმა პირებმა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საქალაქო სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმე:
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.

**ფიზიკურმა პირებმა:**

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა:**

- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მინაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ (არის თუ არა ანგარიშები დაყადაღებული ან გაყინული).

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საწვავის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაცია შეუძლიათ მიიღონ სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ, მისამართზე - საქართველო, თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქ. N65, ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", შესყიდვების განყოფილება. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექცია,
ხაზინის ერთიანი ანგარიში: ანგ. N200122900,
სახაზინო კოდი: N300043133
საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავის შესყიდვა.

**ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"**

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0175, მ. კოსტავას ქ. N65, ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", შესყიდვების განყოფილება - ზურაბ კოპალეიშვილი, დ. ორჯონიკიძე, ტელ: 94-37-19.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" აცხადებს ხელახალ ტენდერს კომპანიის საკუთრებაში არსებული რიგი სატრანსპორტო საშუალებების სრულფასოვნად და გამართულად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი მომსახურებისა და ამ სატრანსპორტო საშუალებებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო - კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

მომსახერება და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა უნდა განხორციელდეს 87 ერთეული სატრანსპორტო საშუალებისათვის. შესყიდვა განხორციელდება ცალკეული ლოტების მიხედვით. კერძოდ:

**I ლოტი -** რუსული წარმოების სამგზავრო ავტომანქანები - 23 ერთეული, მათ შორის: გაზ-53-ა (ავტობუსი), გაზ-66 (ლაბორატორია), კავზ-685, კავზ-3270, კავზ-3271, ლაზ-695ვ, პაზ-3205, 3 მიკროავტობუსი (რაფ-2203, რაფ-22031, ფოლკსვაგენბუსი), სასწრაფო დახმარების მანქანის მსგავსი (უაზ-3741, უაზ-3962), ვილისი (უაზ-469, უაზ-3152, უაზ-31514). მომსახურება ძირითადად უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, ხოლო 6 ერთეული სამგზავრო ავტომანქანის მომსახურება უნდა განხორციელდეს დედოფლისწყაროში.

**II ლოტი -** რუსული წარმოების სატვირთო და სპეც. ავტომანქანები - 49 ერთეული, მათ შორის: გაზ-5201, გაზ-5204, გაზ-5207, გაზ-53, გაზ-6611, კრაზ-256ბ1, კრაზ-250, კრაზ-255, კრაზ-256ბ, კრაზ-257, ზილ-130, ზილ-130-1-ვ, ზილ-431412, ზილ-431417, ზილ-133, ურალ-4320, მაზ-5334, კამაზ-4310, კამაზ-53212. მომსახურება ძირითადად უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, ხოლო 1 ერთეული სატვირთო ავტომანქანის მომსახურება უნდა განხორციელდეს სუფსაში.

**III ლოტი -** უცხოური წარმოების სატვირთო და სპეც. ავტომანქანები - 7 ერთეული, მათ შორის: ტატრა-815. მომსახურება სრულად უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში.

**IV ლოტი -** ტრაქტორები, ამწეები, ბულდოზერები, ექსკავატორები - 7 ერთეული, მათ შორის: N-130, LN-75, "J-3322, "J-2621, R-701 05-35 UK. ორ-ორი ერთეული ტრაქტორების მომსახურება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, სუფსასა და დედოფლისწყაროსი, ხოლო 1 ტრაქტორის მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. კასპში.

სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება უნდა წარმოებდეს 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის ბოლომდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65, ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", შესყიდვების განყოფილება. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექცია,
ხაზინის ერთიანი ანგარიში: ანგ. N200122900,
სახაზინო კოდი: N300043133
საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოტექმომსახურება.

**ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"**

პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და ცალკეული ლოტის (შესაბამისი ლოტის აღნიშვნით) მიხედვით ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 18 აპრილის 10 საათიდან 2006 წლის 19 აპრილის 15 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, ასევე დახურულ კონვერტში, უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

**იურიდიულმა პირებმა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და/ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**ფიზიკურმა პირებმა:**

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა:**

- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მინაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობისა (არის თუ არა ანგარიშები დაყადაღებული ან გაყინული) შესახებ.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: 0175, საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N65, ს/ს "ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი", შესყიდვების განყოფილება - ზურაბ კოპალეიშვილი, დ. ორჯონიკიძე, ტელ: 94-37-19; 33-27-34.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საოფისე ავეჯი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

საოფისე ავეჯი უნდა მიეწოდოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს DDP თბილისი, INCOTERMS 2002 პირობებზე, 2006 წლის მაისიდან 2006 წლის ბოლომდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

**ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:**

ტენდერის პირველ ეტაპზე, პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი პირველადი სატენდერო წინადადება **(ფასის გარეშე)** და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს **2006 წლის 24 აპრილის 16 საათამდე,** მისამართზე: **0162, საქართველო, თბილისი, ი. აბაშიძის 70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.**

პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება სატენდერო კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება ზემოაღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 24 აპრილის 16 საათზე**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ კომისიის სხდომას.

პირველადი სატენდერო წინადადება პრეტენდენტის მიერ შედგენილი უნდა დაგეგმარების პროექტის საფუძველზე. რომლის მისაღებად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონს სატენდერო განაცხადი, რომელშიც უნდა იყოს მითითებული პრეტენდენტის სრული რეკვიზიტები: რეგისტრაციის ქვეყანა, დასახელება, ხელმძღვანელ(ებ)ის ვინაობა, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, საკონტაქტო ინფორმაცია. სატენდერო განაცხადის წარდგენისთანავე პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთაღნიშნულ მისამართზე მიიღოს ტექნიკური პირობები პირველადი სატენდერო წინადადების შედგენისათვის.

პირველად სატენდერო წინადადებაში უნდა იყოს წარმოდგენილი დიზაინი პროექტის, სპეციფიკაციები, ზომები, ტექნიკური მახასიათებლები, სადემონსტრაციო მასალა.

პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. პრეტენდენტი უნდა იყოს საქართველოში ან სხვა ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი (უნდა იყოს წარმოდგენილი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდად, ან პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით სხვა ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურების მიერ გაცემული ანალოგიური საბუთი}.
2. პრეტენდენტის საწარმოს უნდა ჰქონდეს პროდუქციის ხარისხის კონტროლის მენეჯმენტის ISO 9001:2000 საერთაშორისო სერთიფიკატი.
3. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური პროდუქციის მიწოდების გამოცდილება, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ დამოწმებული ცნობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.
4. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 1 წლის დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).
5. სატენდერო წინადადებების გახსნის თარიღისათვის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებები. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმე (უნდა იყოს წარმოდგენილი მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები).
6. პრეტენდენტის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა უნდა უზრუნველყოს საოფისე ავეჯის ტენდერით განსაზღვრული რაოდენობის დამზადება და დროული მიწოდება. (უნდა იყოს წარმოადგენილი პრეტენდენტის მიერ დამოწმებული ცნობა (დეტალური ინფორმაცია) პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობების, საწარმოო სიმძლავრეების და კვალიფიცირებული პერსონალის შესახებ).

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ორიგინალებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

ტენდერის მეორე ეტაპზე დაშვებულნი იქნებიან ის პრეტენდენტები, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და რომელთა პირველადი სატენდერო წინადადებები შეესაბამება ტექნიკურ პირობებს. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ეცნობათ პრეტენდენტებს სატენდერო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

ტენდერის მეორე ეტაპზე დაშვებულმა პრეტენდენტებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი - 300043133**
**ანგ. 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107**
**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მიიღოს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: **0162, საქართველო, თბილისი, ი. აბაშიძის 70, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**

მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების, აგრეთვე სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადების შესახებ ინფორმაციას მეორე ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები მიიღებენ პირველი ეტაპის შედეგების შესახებ გამოგზავნილ შეტყობინებაში.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

ტენდერი ტარდება თანახმად საქართველოს კანონისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07, 23-18-57 სოფიკო ბერიშვილი, ზურაბ პაპუაშვილი

***სატენდერო კომისია***

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საოფისე ავეჯი 640-მდე სხვადასხვა კომპლექტი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 14 აპრილის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის 70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. ?200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე ავეჯი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 17 აპრილის 10 საათიდან 2006 წლის 17 აპრილის 13 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (წარმოდგენილი უნდა დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).;
- სატენდერო წინადადებების გახსნის თარილისათვის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებები. (უნდა იყოს წარმოდგენილი მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები).
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე 2006 წლის ბოლომდე, ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07, 23-18-57

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს კახეთის გზატკეცილი აეროპორტის გადასახვევიდან ლილოს ბაზრობამდე, გაგარინის I, II და IV შესახვევების, შარტავას ქუჩა კანდელაკის ქუჩიდან ბოლომდე, ვაზისუბნის ქუჩის, აკ. ბაქრაძის, ოჩამჩირის, იმედაშვილის, ჩერქეზიშვილის, არდაზიანის, სახოკიას და ზემო ვეძისის ქუჩების, გლდანის მასივი III მ/რ და IIIა მ/რაიონის, გლდანის მასივი VII მ/რაიონისა და მაისურაძის ქუჩის, გლდანის მასივი V მ/რაიონისა და ჯაბიძის ქუჩის, ბუდაპეშტის ქუჩის (კანდელაკის ქუჩიდან ონკოლოგიურ საავადმყოფამდე), ვარკეთილი 3-ის II მ/რაიონის ალექსიძის ქუჩის, ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის, თაყაიშვილის ქუჩის, გახოკიძის ქუჩის, ვარკეთილი 3-ის I მ/რ ალექსიძის ქუჩის, ერთიანობიდათვის მებრძოლთა ქუჩის, სუხიშვილის ქუჩის, კუპრაძის ქუჩის, საქნავთის დასახლების, იუმაშევის ქუჩის, რუსთაველის ქუჩის, ღლონტის ქუჩის, კამოს ქუჩის, ჭირნახულის ქუჩის ლილოს დასახლებამდე, სპორტული მოედნების (ჩოლოყაშვილის, ბ.ხმელნიცკის, გელოვანის გამზირის, ზემო ფონიჭალის, ლილოს დასახლების, დიღმის-მასივი-მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ), საავიაციო ქარხნის დასახლების, ბ. ხმელნიცკის 44-48 ბ., ხმელინცკის I და II შესახვევის, ციხისძირის ქუჩა ჩიხებით და შესახვევებით, თეთრისწყაროს ქუჩის და შესახვევის, ქედის კომუნის ქუჩის, წულუკიძის ქუჩის და შესახვევების, ნინიძის ქუჩის, ხევის ქუჩის, ჩარხნის ქუჩის, ჩოლოყაშვილის ქუჩის II ჩასახვევის, სახალხო ქუჩის და ჩიხის, როდაშვილის ქუჩის, ბოლნისის ქუჩის, ჰოსპიტალის ქუჩის და შესახვევების, შკალოკის ქუჩის, რთველაძის ქუჩის, საექიმოს ქუჩის შესახვევის და ასასვლელის, გლდანი I მ/რ ბოჭორიშვილის ქუჩის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 12 პოზიციად (ლოტად):

1.პოზიცია (ლოტი) - კახეთის გზატკეცილი აეროპორტის გადასახვევიდან ლილოს ბაზრობამდე გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

2. პოზიცია (ლოტი) - გაგარინის I, II და IV შესახვევების შარტავას ქუჩა კანდელაკის ქუჩიდან ბოლომდე, ვაზისუბნის ქუჩის ნაწილი, აკ. ბაქრაძის, ოჩამჩირის, იმედაშვილის, ჩერქეზიშვილის, არდაზიანის, სახოკიას და ზემო ვეძისის ქუჩების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

3. პოზიცია (ლოტი) - გლდანის მასივი III მ/რ და IIIა მ/რაიონის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

4. პოზიცია (ლოტი) - გლდანის მასივი VII მ/რაიონისა და მაისურაძის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

5. პოზიცია (ლოტი) - გლდანის მასივი V მ/რაიონისა და ჯაბიძის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

6. პოზიცია (ლოტი) - ბუდაპეშტის ქუჩის (კანდელაკის ქუჩიდან ონკოლოგიურ საავადმყოფამდე) გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

7. პოზიცია (ლოტი) - ვარკეთილი 3-ის II მ/რაიონის ალექსიძის ქუჩის, ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის, თაყაიშვილის ქუჩის და გახოკიძის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

8. პოზიცია (ლოტი) - ვარკეთილი 3-ის I მ/რ ალექსიძის ქუჩის, ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩის, სუხიშვილის და კუპრაძის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

9. პოზიცია (ლოტი) - საქნავთის დასახლების, იუმაშევის ქუჩის, რუსთაველის ქუჩის, ღლონტის ქუჩის, კამოს ქუჩის, ჭირნახულის ქუჩის ლილოს დასახლებამდე გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;

10. პოზიცია (ლოტი) - სპორტული მოედნების (ჩოლოყაშვილის, ბ.ხმელნიცკის, გელოვანის გამზირის, ზემო ფონიჭალა, ლილოს დასახლების, დიღმის-მასივი-მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ) გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;

11. პოზიცია (ლოტი) - საავიაციო ქარხნის დასახლების ბ. ხმელნიცკის 44-48 ბ. ხმელინცკის I და II შესახვევი, ციხისძირის ქუჩა ჩიხებით და შესახვევებით, თეთრისწყაროს ქუჩის და შესახვევის, ქედის ქუჩის, კომუნის ქუჩის, წულუკიძის ქუჩის და შესახვევების, ნინიძის ქუჩის, ხევის ქუჩის, ჩარხნის ქუჩის, ჩოლოყაშვილის ქუჩის II ჩასახვევის, სახალხო ქუჩის და ჩიხის, როდაშვილის ქუჩის, ბოლნისის ქუჩის, ჰოსპიტალის ქუჩის და შესახვევების, შკალოკის ქუჩის, რთველაძის ქუჩის, საექიმოს ქუჩის შესახვევის და ასასვლელის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;

12. პოზიცია (ლოტი) - გლდანი I მ/რ ბოჭორიშვილის ქუჩის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

სანათების (შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით) და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული ბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბერი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 17 აპრილის 12 საათიდან 17 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 მარტიდან 2006 წლის 14 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

---

ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ 2006 წლის 11 მარტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებიის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს **საპროქტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების** შესასყიდად და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

Lლოტი N1 წყალმომარაგების ჭაბურღილების სისტემით მოწყობა, დაბა ხელვაჩაურში, სოფ. ზანაქიძეებში და სოფ. მეჯინისწყალში.

ლოტი N2 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. გემურაულში. სათავე ნაგებობის შეკეთება სოფ. ჯოჭოს წყალმომარაგების მეორე ხაზზე

ლოტი N3 სოფ. ახალშენის ცენტრიდან სოფ. სამებაზე წყალმომარაგების მოწყობა, სოფ. ახალშენის ცენტრის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფ. ახალშენის ცენტრი - სოფ. Gგანახლების წყალმომარაგების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. Qქვ. სამებაში.

ლოტი N4 წყალმომარაგების მილების შეცვლა და შეკეთება სოფ. წინსვლაში და სოფ. აგარაში.

ლოტი N5 წყალმომარაგების სისტემის აღდგენა სოფ. ჭანივრში და სოფ. ქვ/ ჩხუტუნეთში.

ლოტი N6 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. მახინჯაურში და სოფ. განთიადში, (II-ე ეტაპი).

ლოტი N7 წყალმომარაგების სისტემის მოწყობა სოფ. ანგისაში.

ლოტი N8 წყალმომარაგების მილების შეცვლა სოფ. სარფის ზედა უბანში და სოფ. სარფის ცენტრში.

ლოტი N9 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება აღდგენა სოფ. ახალსოფელში და სოფ. გონიოში.

ლოტი N10 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. ჭარნალში და სოფ. მურმანეთში.

ლოტი N11 გარე განათების მოწყობა დაბა ხელვაჩაურში.

**სატენდერო კომისია**
**24 მარტი 2006 წელი**

---

**ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაკრებლების სამსახურის სალიკვიდაციო დროებითი კომისიის**

**განცხადება**

ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2006 წლის 14 მარტის №111 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაკრებლების სამსახურის ლიკვიდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კრედიტორებმა მიმართეთ ქალაქ რუსთავის მერიას მისამართზე: კოსტავას გამზირი №20. ტელ: 17-92-60.

---

**ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის " ადმინისტრაციული ინსპექციის", ქალაქ რუსთავის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციის სალიკვიდაციო კომისიის**

## განცხადება

ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2006 წლის 13 თებერვლის №146 და №147 გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელდა ქალაქ რუსთავის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციისა და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის "ადმინისტრაციული ინსპექციის" სამსახურების ლიკვიდაცია.

სამსახურის კრედიტორებმა 14 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათი მოთხოვნების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კრედიტორებმა მიმართეთ ქალაქ რუსთავის მერიას მისამართზე: კოსტავას გამზირი №20. ტელ: 17-92-60.